



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-
უძი სიფყვას, ცუდილუბით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისთბაგ უსაბაგულსია.



ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 4 ოქტომბერი. 2019 წ. №197 (8862)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

მოყვარეს პირში უძრახე...

„ოსნების“ 7 წელი:



„დიდი გაგარჯვაბები და მიღწევაბი“, როგელის არ ჩანს

3



ჩვენ ვსსოვრობთ ტოტალური ტყუილის აბმოსფეროში!

4



გია ყანგელი

საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა –
გარდაიცვალა დიდი კომპოზიტორი გია ყანგელი. მან
შექმნა მუსიკა, რომელიც მნიშვნელოვანია არა
მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლი-
ოსთვის. გია ყანგელმა სამართლიანად დაიკავა ადგი-
ლი მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორთა შორის.

განსაკუთრებული ყანგელის როლი რუსთაველის
თეატრის აღორძინებაში. ყანგელის თანამშრომლობამ
არანახული წარმატება მოუტანა ქართულ თეატრს
მთელ მსოფლიოში. რომ არა გია ყანგელის მუსიკა, აღ-
ბათ, „კავკასიურ ცარცის წრეს“, „რიჩარდ III“-ს, „მეფე
ლირს“, „მაკბეტს“, „მეთორმეტე ღამეს“, „ჰამლეტს“,
„ლაიმარას“, „სტიქსს“ და სხვა, არ ექნებოდა ასეთი დი-
დი აღიარება.

ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს თავის სა-
სიქადულო შვილს. გია ყანგელის სახელი სამუდამოდ
ჩაინერა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

**როგორც სტურუა,
რუსთაველის თეატრი**

ატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში

საპარტიზოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზი-
ტი დაიწყო. ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ
გოტმოლერი და საბჭოს წევრები ბათუმის საერთაშორისო
აეროპორტში გუშინ ჩამოფრინდნენ.

ატლანტიკური საბჭოს წევრებს საქართველოს საგა-
რეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, აჭარის ავ-
ტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
თორნიკე რიუვაძე და ნატოში საქაბის წარმომადგენელი
სანდრე მაისურაძე დახვდნენ.

საქართველოში ნატოს დელეგაციას, რომლის შემად-
გენლობაში აღიანსის 29 წევრი ქვეყნის მუდმივი წარ-
მომადგენელია, როუზ გოტმოლერი უხელმძღვანელებს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართება ნატო-საქართველოს
კომისიის სხდომა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ნა-
ტოს გენერალური მდივნის მოადგილის თავმჯდომარეობით.
ჩრდილოატლანტიკური კომიტეტი, ასევე, თავის მხრივ, ნატოს
გენერალური მდივნის მოადგილე ორმხრივ შეხვედრებს გა-
მართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრ-
თან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და პარლამენტის წევ-
რებთან, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

გაიმართება შეხვედრები არასამთავრობო სექტორის
წარმომადგენლებთან. ჩრდილოატლანტიკური საბჭო ბა-
თუმის პორტში ეწვევა საქართველოს სანაპირო დაცვის
ხომალდებს. ვიზიტის ფარგლებში ნატოს გენერალური
მდივნის მოადგილე ლექციას გამართავს ბათუმის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტში.

ნატო გოტმოლერ უჭერს მხარს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს




– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორ-
გი გახარიასა და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე
როუზ გოტმოლერის შეხვედრაზე აღინიშნა. ინფორმაციას
მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ნატო-საქართველოს
თანამშრომლობის დღის წესრიგის ყველა მნიშვნელოვან საკითხ-
ზე, არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში მიღწეულ
პროგრესზე, ასევე – რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსე-
ბულ გამოწვევებზე.

მხარეებმა ასევე განიხილეს შემდგომი ნაბიჯები, რო-
გორ უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული თანამშრომლობა და
პარტნიორობა შავი ზღვის რეგიონში.

პრემიერ-მინისტრმა ჩრდილოატლანტიკურ აღიანსს საქარ-
თველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის
მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას, რომელიც ბათუმში, ჩრდილოატლანტიკური საბ-
ჭოს ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, საქართველოს საგარეო
საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, თავდაცვის მინისტრი
ირაკლი ღარბაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გო-
მელაური, ჩრდილოატლანტიკური აღიანსის მხრიდან კი ნატოს
გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს
აპატურაი და დელეგაციის სხვა წევრები დაესწრნენ.

გიორგი გახარია: საბანკო სისტემაში გამოთავისუფლება 700 მილიონის ოდენობის სავალუტო რესურსი, რომელიც მიენიჭება ჩვენს ეკონომიკას



მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ჩვენს საბანკო სისტემაში გამოთავისუფლება დაახლოებით 700 მილიონი სავალუტო რესურსი, რომელიც პირდაპირ და სწრაფად უნდა მიენიჭოს ჩვენს ეკონომიკას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომის დანახვამდე განაცხადა.

„კოორდინირებული მუშაობა შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს, რადგან ეკონომიკაში გამოწვევები ბევრი გვაქვს. მაგალითად, ლარის კურსი, რომელიც ყველას კარგად გვსმის, რომ სოციალურ კონტექსტში პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგრამ ასევე

ჩვენს საბანკო სისტემაში გამოთავისუფლება დაახლოებით 700 მილიონი სავალუტო რესურსი, რომელიც პირდაპირ და სწრაფად უნდა მიენიჭოს ჩვენს ეკონომიკას. ამისთვის საქართველოს მთავრობა უკვე შემდეგი კვირიდან დაიწყებს პირდაპირ სექტორალურ შეხვედრებს ბიზნესთან, რადგან ყველა ის შემადგენელი ფაქტორი, რომელიც შესაძლოა, დროში გააჭიანუროს ამ რესურსების ათვისება და მეტი დინამიკის შემოტანა ჩვენს ეკონომიკაში იყოს აღმოფხვრილი. ეს არის ჩვენი საერთო დავალება უახლოეს პერიოდში, შემდგომი კვირისთვის, და ყველამ ერთად ჩვენი სამინისტროების სექტორების შესაბამისად უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

2020 წლის ბიუჯეტში ასახულია სოციალური პასუხისმგებლობა...

2020 წლის ბიუჯეტში ასახულია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა, ასევე ასახულია ფისკალური დისციპლინა და კაპიტალური ხარჯები სახელმწიფოს მხრიდან. ამაში მდგომარეობს ბიუჯეტის დაბალანსება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომის დანახვამდე განაცხადა.

„მოგესვენებათ, ჩვენ უკვე შევიტანეთ პარლამენტში 2020 წლის ბიუჯეტი. ერთობლივი მუშაობის შედეგად, ბიუჯეტი გამოგვივიდა საკმაოდ დაბალანსებული. ბიუჯეტში ასახულია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა, მაგრამ ასევე ასახულია ფისკალური დისციპლინა და კაპიტალური ხარჯები

სახელმწიფოს მხრიდან. ამაშიც მდგომარეობს ბიუჯეტის დაბალანსება. თუმცა, კოორდინირებული მუშაობა შემდგომშიც როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტისა და ეროვნული ბანკის მხრიდან, იქნება მნიშვნელოვანი, რომ შესაბამისად 2020 წელს ჩვენი ეკონომიკური ზრდა და ეფექტიანობა იყოს სახეზე და ის აისახოს ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მოგესვენებათ, ბიუჯეტში დეფიციტი გვაქვს 2,7 პროცენტი, რომელიც სრულად შეესაბამება სავალუტო ფონდის მიმდინარე პროგრამას. ამაში მდგომარეობს ბიუჯეტის დაბალანსებულობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

2019-2020 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ 2019-2020 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

როგორც თეა წულუკიანამ აღნიშნა, სამოქმედო გეგმა ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა რამდენიმე თვის წინ, საბჭოს ბოლო სხდომაზე ერთხმად.

„საბჭოში 69 წევრია. ესენი არიან სამინისტროები, სასამართლო ხელისუფლება, პარლამენტი, მუნიციპალიტეტები, მარეგულირებელი ორგანოები, კერძო

სექტორი, ბიზნესობიექტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ყველა ამ უწყებისა და ორგანიზაციის ჩართულობით, ჩვენ დავამტკიცეთ სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და დღეს წარმოდგენილი იქნა ყველას ჩართულობით შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები მთავრობის წინაშე, რომელიც დღეს ოფიციალურადაც დამტკიცდა და მხარდაჭერა მოიპოვა. ეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არის ჩვენი ქვეყნისთვის რიგით მე-5 და ფარავს 2021 წლამდე პერიოდს. ეს ნიშნავს, რომ 16 პრიორიტეტი და მიმართულება, რომელიც ამ სტრატეგიაში არის განვრცილი, შესაბამისი ინდიკატორებით გაზომვადი იქნება სწორედ 2020 წლის ბოლოს. მოცემულ დოკუმენტებს გავლილი აქვს ევროკავშირის ექსპერტიზა. მანამდე ამ დოკუმენტებს ასეთი ექსპერტიზა არ ჰქონია გავლილი, წელს ეს ხდება პირველად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის დასკვნის თანახმად, ეს დოკუმენტები ისეა შედგენილი, რომ სწორედ გავლენის შეფასება თითოეული ჩვენი უწყების საქმიანობისა, 2020 წლის ბოლოს იქნება შესაძლებელი“, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

ეკა გახარია ახსნის, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ტრადიციულად საუბარი ისეთივე სასაფრთხოდ, როგორც „ვირი და კრიალოსანი“

ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილს განცდა გაუჩნდა, რომ „ლურჯი მელიასავით“ ფერი შეიცვალოს და იდენტობის თვალსაზრისით ასოცირებული გახდეს ტრადიციულად და ფასეულობებთან, - ამის შესახებ ჟურნალისტებს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ეკა ბესელიამ განუცხადა. დეპუტატის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ფერის შეცვლა ვერ გამოვა.

„ეს ისეთი სასაცილოა, როგორც „ვირი და კრიალოსანი“. მისი მხრიდან მცდელობაა, კოსმეტიკით თქვას, რომ ის არ არის, ვინც ცხრა წლის შემოქმედელი იყო. ენ. სვეციკები ვინ არიან, ამის გამოცნობა შეგვიძლია მისი ბოლო თავდასხმებიდან გამომდინარე“, - დასძინა ეკა ბესელიამ.

მაჟუკა ხაზარაძე: ანა სპიტივილი შეიძლება, კარგად ახსნოს საჭაპურებს, მაგრამ ნარკომანა არა აქვს, რა არის ინფრასტრუქტურა

- ამის შესახებ მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა მაჟუკა ხაზარაძემ ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა.

„არ ვიცი, რა გამოცდილება ჰქონდა ანა სპიტივილი მაია ცქიტივილს, როცა ამხელა მილიარდებს აბარებენ. შეიძლება, ეს იყო გამოწვეული იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, მაია ცქიტივილის ხელში თანხა არ დაიკარგება კორუფციული თვალსაზრისით. მე მას ვურჩევ, მაია ცქიტივილის ქვემოთ ჩაიხედოს, როგორ მიდის ტენდერები, ჰკითხოვს კერძო კომპანიებს, თუ რანაირი ტიპის კორუფცია არის გასული ინფრასტრუქტურის სისტემაში. ამაზე ჩვენ პასუხს მოვთხოვთ“...

კითხვაზე, მიიჩნევს, თუ არა ინფრასტრუქტურის მინისტრს კორუმპირებულად, მაჟუკა ხაზარაძემ აღნიშნა, რომ მაია ცქიტივილზე ეს ინფორმაცია არ აქვს.

„მე დადასტურებულად გეუბნებით, რომ ტენდერები სამინისტროში არ ტარდება გამჭვირვალედ. ეს არის ფიქცია. დაახლოებით იგივე პროცესი გვაქვს, როცა მოსამართლეების დამტკიცების პროცედურები მოგვახვიეს თავზე, ვითომ ეს არის გამჭვირვალე. სინამდვილეში, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ გადაიბარა სააკაშვილის მოსამართლეები და ისინი არიან ხელისუფლების მოსამართლეები, ხელისუფლების პროკურორები. ჩვენ უნდა ჩავიდეთ თემებში ბოლომდე და თუ რამე კითხვა არსებობს, ეს კითხვები უნდა იქნას ამოტანილი. საზოგადოებამ ამის შესახებ უნდა იცოდეს“, - განაცხადა მაჟუკა ხაზარაძემ.



თეა წულუკიანი: ჩემს გამომცხვარ ჭკიშტარს ვერ ეღირსები, ხაზარაძე!

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის მაჟუკა ხაზარაძის განცხადებას ეხმაურება.

„რაკი ამ განცხადების ადრესატი არც ოპოზიციონერი და არც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი არ არის, ამ უმსგავსო განცხადებას „ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები“, სავარაუდოდ, არ გამოეხმაურებიან.



ისევე, როგორც არასოდეს (!) არ გამოეხმაურებიან ჩემზე გენდერული ნიშნით თავდასხმებს და გენდერული ნიშნით კიდევ სხვა პოლიტიკოს ქალზე თავდასხმას, სახელად: „ქალო, რით ვერ ისწავლე ქართული, გნუ ხარ?“.

ჰოდა, მე გამოვეხმაურები. იმიტომ, რომ ყოველთვის ვცდილობ, დავიცვა ის, ვისაც ჰქვია საჯარო საქმიანობაში ჩართული ქალი. ვცდილობ მაინც.

ბ-ნო ლელო მაჟუკა, თქვენ ამ განცხადებით საკუთარი გარემოცვის ქალებს აყენებთ შეურაცხყოფას, ეს იცით? თუ არ იცით, ახლა გეცოდინებათ. პოლიტიკაში „მოსვლა“ რომ გინდათ, ასეთი განცხადებებით აპირებთ „მოსვლას“?

თქვენ ამ განცხადებით ასევე შეურაცხყოფას აყენებთ ყველა იმ ახალგაზრდა ქალს, რომელიც განათლებას ან იღებს, ანდა უკვე მიღებული აქვს და, ასე მგონია, არის თქვენზე განათლებულიც, თქვენზე ჯანსაღიც და თქვენზე უფრო მეტი ნდობის ღირსიც.

ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც არ იკადრებს არც ერთი ქალი, რომ იმ სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტში შეშვოს თავი (ა-ზე რომ იწყება და ია-ზე რომ მთავრდება!), რომლის კეთების თავიც არ აქვს და როცა გამოაშკარავდება, რომ არ აქვს თავი, მერე არ დაიწყებს პარტიის შექმნას მსოფლიო იმიტომ, რომ თავი დაიძვინოს! ამ თემაზე მე, ქალს, ბევრი რამე შემიძლია მოგახსენოთ, როცა შექნება ამის შესაძლებლობა! რადგან ის დროც მახსოვს, როცა „შეგარჩიეს“ და მას მერე რაც იყო, ისიც კარგად მახსოვს! ისე ხდება, რომ საჭაპურების ცხოვაში მახსოვრობა გვივარჯიშდება სოლმე ქალებს და დიდხანს გვახსოვს რაღაცები.

გასაგებია, რომ თქვენ გძულთ ქალები, ვინც სამზარეულოს გარეთ ცხვირი გაბედა და გამოჰყო. ეს ხართ ამის მერე თქვენ, მეტი არაფერი.

ჩემს გამომცხვარ ჭკიშტარს კი ვერ ეღირსებით დიდხანს, რადგან არ მცალია, ბევრი საქმე მაქვს და, თანაც წინ, 2020 წლის არჩევნები მაქვს მოსაგები. მე, ქალს. იხუმრა, ეგონა, ალბათ“, - წერს თეა წულუკიანი.

„ოცნების“ 7 წელი:


„დიდი გამარჯვებები და მიღწევები“, როგორც არ ჩანს

„ქართულმა ოცნებამ“ მმართველობის შვიდი წელი მიითვალა. თავად პარტიაში თვლიან, რომ განვლილი წლები გაჯერებული იყო „დიდი საქმეებით, გამარჯვებებით და მიღწევებით“.

საკონსტიტუციო, სასამართლო, ძალადობრივი სტრუქტურების რეფორმები, მედიის, ბიზნესის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისუფლება, დემოკრატიის, საჯაროობის, მართვის გამჭვირვალობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

ნალურად განსხვავებული შეფასებები აქვთ ექსპერტებს, ხოლო თუ საზოგადოებრივ კვლევებსა და სოციალურ ქსელს გადავავლებთ თვალს – საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილსაც სხვა თუ არაფერი, ყველა გამოკითხვის შედეგების თანახმად, უმუშევრობა და სიღარიბე პრობლემების TOP 5-ეულში ლიდერ პოზიციებს არ თმობენ.

„ის ის რეჟიმებია“ („ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული), რომელმაც ქვეყანაში დემოკრატია უნდა უზრუნველყოს. მაგრამ დემოკრატია, როდესაც არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, ჩვენს შემთხვევაში კი ოსტატურად უბრალოდ არ არსებობს.



გარდა ამისა, კონსტიტუციაში, რომელიც იდეაში მმართველობის საფუძველია, არსად წერია, რომ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი არის პარტიის თავმჯდომარე, თუმცა ჩვენს რეალობაში ეს ასეა. ამასთან, როდესაც კონსტიტუცია მიიღეს, მმართველი გუნდის წევრებმა თქვეს, რომ „ეს არის კონსტიტუცია, რომელსაც ცვლილება საერთოდ არ დასჭირდება“ და მას შემდეგ უკვე შევიდა ცვლილებები. თავად ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რამდენად „წარმატებული“ იყო საკონსტიტუციო რეფორმა.

ვითარებას უშლის ხელს; პრობლემურია პრემიერ-მინისტრების, საგარეო საქმეთა მინისტრების ძალიან ხშირი ცვლა; ამას ემატება ამათა აპოკრიფული მხრიდან, რომლებიც „ქართული ოცნებისგან“ მეტს ელოდნენ; ძალიან დამძიმებულია მედიაგარემო, პოლარიზებულია საზოგადოება; მომძლავრდნენ მემარჯვენე პოპულისტური ჯგუფები, რომლებიც ფაქტია, რომ ცუდ ურთიერთობაში არ არიან მმართველ გუნდთან... ამდენად, თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, ქვეყანას სერიოზული გამოწვევები აქვს“.

მისი შეფასებით, 2020 წლის არჩევნები გადამწყვეტი იქნება საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, ვინაიდან უნდა გარკვევს, დარჩება თუ არა ხელი-სუფლები მმართველი გუნდი, რომელიც მმართველობის შენარჩუნებისთვის იბრძვის, თუ მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს და კოალიციურ მთავრობას:

„ქართული ოცნება“ ემზადება არჩევნებისთვის და ვფიქრობ, სწორედ ამას ემზადება. რა თქმა უნდა, ფინანსური რესურსების გამოყენება არ არის მთავარი მიზანი, მაგრამ ეს ყოველთვის არ იკავებს არჩევნებს. არის იდეური და სხვა მომენტები. თუ საზოგადოებრივ კვლევებს და ვაკვირდებით, მნიშვნელოვანია მინეტიან ჩამოყალიბებული ამომრჩეველი და რომელიც წინა არჩევნებებზე გვანახს, ეს კატეგორია ძალიან ხშირად მთავრობის საწინააღმდეგოდ აქლავს ხმას“.



რაც შეეხება ეკონომიკას, ეკონომისტი გიორგი პაპაშვილი მთავარ პრობლემად მალალი ეკონომიკური ზრდის არარსებობას ასახელებს, რის გამოც ქვეყანაში ახალი დოვლათი არ იქმნება, ამას კი როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები განაპირობებს:

„ვისურვებდი, რომ ბოლო წლების განმავლობაში მმართველ გუნდს თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონოდა: ზოგიერთი ნაბიჯი მიმართული იყო იქით, რომ უფრო თავისუფალ ბაზარზე აშენებულიყო ეკონომიკა, მეტი თავისუფლება ჰქონოდა ბიზნესს, წინ წაგვეწია რეიტინგებში. თუმცა პარალელურად შემოვიღეთ ისეთი რეგულაციები, რომელიც ამ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, – იქნება ეს საბანკო სექტორში, სასოფლო-სამეურნეო მინეტიან დაკავშირებით თუ სხვა. იმის თქმა, რომ რომელიმე ამ რეგულაციას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, სწორი არ იქნება, მაგრამ მიდგომა, თუ საით მიდის ეკონომიკური პოლიტიკა, მკაფიო არ არის: გარკვეულ პერიოდს განმავლობაში აქცენტი კეთდებოდა ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ პოლიტიკით ისე სწრაფად ვერ განვითარდით, როგორც ველოდით. შემდეგ აქცენტი გადმოვიტანეთ განათლება-

დენად „წარმატებული“ იყო საკონსტიტუციო რეფორმა. აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს არ არის ის კონსტიტუცია, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. საერთოდ არსებობს კი რომელიმე სფერო, რომელსაც საზოგადოება და „ქართული ოცნება“ ერთნაირად წარმატებულად აღიქვამენ? მე ხსენებულ ჩამონათვალში ვერც ერთ მსგავს თემას ვერ ვხედავ“, – ამბობს „აქცენტთან“ საუბრისას პოლიტოლოგი მასტანაძე კაპრიანი.

მისივე აზრით, არსებულ ვითარებაში მმართველ გუნდს, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, სამი მთავარი „კომპონენტი“ რჩება: „ნაციონალური მოქრობის“ მიუღებლობა, დანარჩენი ოპოზიციის სისუსტე და სახელმწიფო სტრუქტურაში.

პოლიტოლოგი კორნელი კაპაჩიას დაკვირვებით, მმართველი გუნდი წლის იუბილეს მნიშვნელოვანი პრობლემებით, ქვეყანა კი სერიოზული გამოწვევებით ხვდება:


„საზოგადოებას დაჰპირდნენ, თუმცა ვერ მოახდინეს გარდატეხის მოხდენა ეკონომიკაში; მძიმეა ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა, რაც კიდევ უფრო დაამძიმა ეროვნული ვალუტის კატასტროფიულმა გაუფასურებამ; იყო დაპირებული სამართლიანობის აღდგენა, თუმცა ესეც პრობლემად დარჩა; ძალიან შესუსტდნენ სახელმწიფო სტრუქტურები – გაიზარდა ბიუროკრატია; ამას ემატება არაფორმალური მმართველობა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირი პარტიის თავმჯდომარეა და ისიც პარტიის თავმჯდომარე ბოლო პერიოდში გახდა, მანამდე კი საერთოდ პროცესებს გარეთ იყო და ეს ქვეყნის დემოკრატიულ გან-



ზე და პარალელურად ვცდილობთ, რაღაც დავაღაგოთ სოციალური მიმართულებით. ასლა აღმოჩნდება, რომ არჩევნები გვაქვს და საარჩევნო წელს მის მოგებაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა ხდება. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა არ მოგვცა საშუალება, მნიშვნელოვანი გარღვევა გვექონოდა. გარღვევის გარეშე კი შეუძლებელია ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, როგორც მოქალაქეებს სურთ. გარღვევისთვის მნიშვნელოვანია, მცდელობები იყოს სწორედ ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია საირსკო ნაბიჯების გადადგმა, რასაც ბოლო წლების განმავლობაში ვერ ვხედავთ“.

ექსპერტებისთვის სახარბიელოდ არც ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე პოზიციონირება გამოიყურება.

„მახოვს ივანიშვილის განცხადება, „დიდი ქვეყნების კონფლიქტის მიზეზად არ უნდა ვიქცეთ“. მაგრამ თავშეკავება არ უნდა გადასცდეს გარკვეულ ზღვარს, ვინაიდან არსებობს ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. არ ვამბობ, რომ გავაკეთოთ ის, რასაც სააკაშვილი (საქართველოს მესამე პრეზიდენტი) ცდილობდა – „დიდი ბიჭების“ ჩხუბში ჩავერიოთ“ „პატარა ბიჭებით“, მაგრამ ის, რომ ჩვენ ჩვენი ღირსება და ინტერესები გაგვანია, რაც შეიძლება, მკაცრად უნდა დაფიქსირდეს. როგორც ვთქვი, ზღვარია დასაცავი და შეუძლებელია, წინასწარ შეიმუშავო რაღაც ფორმულა. ზოგჯერ მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსული ინტერესების მიმართ ზედმეტ დათმობაზე მიდის „ქართული ოცნება“, – ამბობს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი და ამ კონტექსტში, მათ შორის, ანაკლიის ღრმანყლოვანი პორტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს განიხილავს:



„პირადად ჩამთვის ანაკლიის პორტის ისტორია დათმობის თვალსაჩინო ნიშნებია. თაქვის დროზე ასეთ დათმობაზე რომ ვაპირებდით, საპარლამენტო ტერიტორიაზე არც ნავთობსადენი და არც ბაზსადენი ბაიკილიდა. მართალია, სადღეისოდ ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის მინიშნება გამოყენებული, მაგრამ ესეც არ გვაქნებოდა. შავარდნაძე ნავილა რისკზე და გვხსნის, ამან რუსეთი როგორ გააღვიძა, იყო მუშაობა, შილა საშემაში ჩარევა და ა.შ., მაგრამ შავარდნაძემ პრინციპული პოზიცია დაიკავა. ამდენად, არის მომენტები, როდესაც არ უნდა დავთმოთ სტრატეგიული ინტერესები. გვამის, რომ დიდ ძვანას თაქვის ინტერესები აქვს, მაგრამ ისიც გვამის, რომ რუსეთი გაუგებარია, მისი ინტერესები კი – ამოუწურავი“.

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებას, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი ხელისუფლებაა, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიები არ დაუკარგავს“, ფორალიშვილი მას „საქმეში ჩაუხედავ ადამიანებზე გათვლილად“ აფასებს:

„ჯერ ერთი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა „ქართული ოცნების“ პროგრამის ნაწილი იყო და ვხედავთ, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგმულა, პირიქით, რუსებმა პოზიციები გაიმყარეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მეორეც, ტერიტორიები რომ არ დაუკარგავთ, ეს იმის შედეგი კი არ არის, რომ თავად იქცოდნენ ქვეყანურად, არამედ რუსეთმა იცოდა, რა საზღვრებამდე შეიძლებოდა ჩვენთვის ტერიტორიების წართმევა. ანუ, ჩვენ ტერიტორიები ეთნოკონფლიქტის კონტექსტში დაეკარგეთ, რუსეთი მოქმედებდა აფხაზეთისა და ოსეთის დაცვის ღონისძიებით და კიდევ ახალი ტერიტორიების მითვისებით იმის შანსიც კი დაეკარგებოდა, ეთქვა, „მე ოკუპანტი არ ვარო“. ამდენად, ის, რომ რუსეთი სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე გაჩერდებოდა, ჩემთვის 2008 წლის ომის დროს იყო ნათელი. ის თბილისში არ შემოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში „ცხელი თავები“ სწორედ ამისკენ მოუწოდებდნენ. მსგავს ვითარებაში რუსეთის დაცვა მის მოკავშირეებსაც კი გაუჭირდებოდათ“.

ალბათ ყველას გაქვთ ნანახი ფილმი „კერკეტი კაკალი“, სადაც მთავარ როლს შესანიშნავი მსახიობი ბრიუს უილისი ასრულებს.

თუ ფილმში განვითარებულ მოვლენებს ცოტა სხვა თვალთ შევხედავთ, ადვილად დავინახავთ, რომ ზუსტად ქართული სიტუაციაა — თავკერძა ჩინოსნები, რომლებიც დამოუკიდებელი აზროვნების ნაცვლად ვიღაცის დაწერილი რეკომენდაციებითა და ინსტრუქციებით სარგებლობენ, „გაფუფილებული“ ტერორისტები, ტვ „მთავარის“ მდებრიო „ურნალისტიები“ და საქმის ძაბაალი-იან ცოტა გამკეთებელი ადამიანი, რომლებსაც ყველანი ხელს უშლიან.

გაგვიკვირდება და მაყურებელს ტერორისტებზე მეტად, თავკერძა ტიპები უფრო უშლიან ნერვებს.

ტერორისტს „შმუთავ“ და დააგდებ მეძავი კურდღელივით, ამათი ხელის ხლება კი „პოლიტიკორექტულობის“ გამო არ შეიძლება.

საბედნიეროდ, ის ფილმი და ყველაფერი კარგად მთავრდება. ჩვენ კი სამს უხაროდ, „რეალთი შოუ საქართველოში“ ვცხოვრობთ.

პირველი და უმთავრესი მავალითი გასულ კვირას, ზალკალიანსა და ლავროვს შორის ისტორიული შეხვედრის სხვადასხვა ინტერპრეტაცია იყო.

იმ უამრავი შეფასებიდან ყველაზე ზუსტი, ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილის ნიკა ლალიაშვილის შეფასება იყო.

„ორი სიტყვით მინდა, შევხებო ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს.

1955 წელს, სულ რაღაც 10 წლის გახლენილი და ოკუპირებული იყო მაშინ გერმანია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა, კონრად ადენაუერმა მოსკოვში ჩასვლა გადაწყვიტა.

კრემლში ვიზიტის იდეა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა გერმანული ოპოზიციისთვის, მედიისთვის, ნაცისტების 12-წლიანი რეჟიმით გაბრუნებული პატრიოტებისთვის და რაც მთავარია, გერმანიის დასავლელი პარტნიორებისთვისაც. მთელ გერმანიაში დაიწყო აქციები სლოგანით: „არა — მოლაპარაკებებს მტერთან!“

ადენაუერი დიდხანს ორჭოფობდა. ერთადერთი მხარე, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა მის მოსკოვში წასვლას, იყო გერმანული ბიზნესი. სამი უდიდესი კონცერნი „კრუპი“, „მენეს-მანი“ და „სიმენსი“.

ადენაუერმა სარისკო ტაქტიკა აირჩია. მან არ დაუჯერა გერმანიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და სამაგიეროდ დაუჯერა ბიზნესს. წავიდა მოსკოვში და დაიწყო მოლაპარაკებები კრემლთან. შედეგად გერმანიის სამთომომპოვებელმა, ფოლადამოქმედებელმა და მანქანათმშენებელმა კომპანიებმა მიიღეს უმსხვილესი შეკვეთები საბჭოთა ქარხნებიდან. ერთ წელიწადში გერმანია გავიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში ექსპორტის მიხედვით და 2 მილიონი გერმანელი ტყვე დაბრუნდა სამშობლოში.

ასე დადგა გერმანიის ეკონომიკა ფეხზე. პრაგმატულმა გერმანელმა ხალხმა კი ამ პერიოდს დაარქვა ადენაუერის ეპოქა, ან მეორენაირად ამ პერიოდს გერმანულ სასწაულს ეძახდნენ.

გასულ კვირას ზალკალიანსა და ლავროვს შორის შეხვედრა შედგა. ოღონდ ადენაუერის ვიზიტისგან განსხვავებით, ჩვენ დასავლელი პარტნიორები ერთმანეთს ვეწვევით და მივსალმნენ ამ ნაბიჯს, მაგრამ „ნაცების“ ცხრანლიან მმართველობაში ფორმირებულმა ფეიკ-პატრიოტებმა, ყალბმა ლიბერალურმა მედიამ და ვითომ მედასავლეთე ექსპერტებმა შეგნებულად არ შეაჩერეს ყურადღება შეხვედრის შინაარსზე. სამაგიეროდ, ყველას აინტერესებს, ვინ მოითხოვა ეს შეხვედრა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის კოლეგას თვალში „პასტა“ რატომ არ გაუჩოჭო, ან ღმერთმა დაიფაროს და შემთხვევით რუსულ ენაზე ხომ არ ელაპარაკებოდა ის ლავროვს?

აი, ამ სისულელეებზე ახდენენ ფოკუსირებას, მაგრამ პრაგმატული ქართველი ხალხი, პირველ რიგში, ვის ინტერესშიც შედიოდა ეს შეხვედრა, იმედი მაქვს, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.“

„სისულელეებზე ფოკუსირება“ აღარც გვიკვირს, რადგანაც ამ „მიშაადიდებელ“ სექტანტებს, თავიანთი „სულიერი ბელადი“ თავისი იდიოტური განცხადებებით სრულ კარტ-ბლანშს აძლევს.

ყველაზე გავიგეთ (დარწმუნებული ვარ, რომ სწორედაც რომ „გავიგეთ“ და არა „ვნახეთ“) სააკაშვილის ჩართვა გერმანია-კვესიტაძის დუეტთან, სადაც მიჩაძე უამრავი სისულელე წამოროსა.

ცხადია, ამ სისულელეებს აქ არ განვიხილავ, უბრალოდ მოვიყვან ერთ ფეისბუქ-პოსტს, რომელსაც საკმაოდ ბევრი მოწონება ჰქონდა:

— საწყალობელ იქმნა უბადრუკი ბოკე-რია, რამეთუ აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმერთოთა — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამის გამგონე კვესიტაძემ საზარელი ხმით გადაიხარხარა, გაშიშვლდა, იქვე დადებულ ცოცხს შემოახტა და სტუდიას ორი წრე დაარტყა.

არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტიების ხელახალი რეგისტრაცია, ნო-ტარიულად დამტკიცებული 1000 პარტიის წევრით და რაიონების მინიმუმ 2/3-ში 5-წევრიანი პარტიული ორგანიზაცია.

სიბიზის უმკაცრესი გადაწყვეტა და გა-ჩაღვაპაპა პარტიის ლიდერის სისხლის საპატიო სივრცის 2 მსუღბით — თაღ-ლითობა, გაჩაღვაპა, დასჯა.

დღევანდელი მოცემულობით ყველაზე სტაბილურად საქართველოს პატრიოტთა ალიანსი მუშაობს, რომლებმაც ბათუმში, სა-განგებო ბრიფინგზე იმ გამოკითხვის შედე-გები გაასაჯაროეს, რომელიც სწორედ ბა-თუმში ჩაატარეს.

გთავაზობთ ალიანსის ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებას: 2019 წლის 25

ში, რომლის ორგანიზატორებიც არიან სწორედაც რომ სააკაშვილები, ბოკერიები და მათი მფარველი კრამერები და ბრაიზები. ჩვენ გავაგრძელებთ საყოველთაო გამო-კითხვას, შემდეგი იქნება ქალაქი ქუთაისი, ალბათ, შემდეგ — ზუგდიდი და გაზაფხუ-ლისთვის ჩვენ თბილისს გამოვკითხავთ.

გამოკითხვის ყველა ფურცელს, ანუ გა-მოკითხვის სრულ დოკუმენტაციას ჩვენი პოლიტიკური გუნდი ღიად და საჯაროდ გადასცემს საქართველოს პარლამენტს, რა-თა გამოირიცხოს ყოველგვარი ინტერპრე-ტაციები და სპეკულაციები.

ამ ფონზე მართლაც რომ არასერიოზუ-ლად (ძალიან რბილად ვამბობ), ისმის ამ ე.წ. „არასამთავრობების“ და ნაცნასხლეტების

ჩვენ ვსსოვრობთ მოტალური ტყუილის ატმოსფეროში!



გერამია კი ოპერატორის წინაშე მუხლებზე დაემხო, რაღაცას უხაროდ ბუტბუტებდა და თავს იატაკს ურტყამდა.

არადა ამ მიჩაძის თავისი გამოსტომე-ბით ისე მიჰყავს საქმე, რომ ლოზუნგი — მე თუ არ ამირჩევ, ნაცი მოვა და ცულს მოიტანს ცუნცულასაო, აღარ მუშაობს.

აბა იმ მართლა ღვთის გლახის ვიღაც ეშინია?

ბოკერივლებს „გარედან“ დახმარების გარეშე, ბაქრადეც არ მისცემს ხმას..

აქსიომა — ხალხი, მტერი და პარ-ტია, რომელიც ხალხს მტრის წინააღმ-დეგ დარაზმავს, მუშაობს და „მტერი“, ოცნების გარდა, ფაქტობრივად, ყველას ნაპოვნი ჰყავს.

საარჩევნო კანონის მართლაც კარგ ცვლილებებთან დაკავშირებით, ერთი რაღაც მაინტერესებს — ვინ არის ამომრჩეველი? ეს მრავალგზის არჩეულ-გადარჩეულ-არარჩე-ული ხალხი, რომლებიც ბოლო 30 წელიწა-დია, თავს პოლიტიკოსებს ეძახიან, ვიღაც ტი-პებთან ერთად, რომლებიც თავიანთ თავს „სამოქალაქო სექტორის“ წარმომადგენლებს უწოდებენ, თუ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეე-ბი, რომლებმაც ძალიან, დიას, რომ ძალიან კარგად ვიცით უბლოკო 0.67%-იანი ბარი-ერის მნიშვნელობა?

ვის სჭირდება ეს „განხილვები“? რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩე-ბა, რომ ეს „მრავალნაცადი“ ხალხი, საკუთარ თავს არწმუნებენ ამ მართლაც კარგი ნაბი-ჯის გარდაუვლობაში და თავს იმპილდებენ — რაღაცას მაინც გამოვკვირავთ კბილსო.

თუ განხილვა გნებავთ, თქვენ კი ნუ არ-ჩევთ ერთმანეთში და იქ მიყვანილ პარტაქ-ტივეებში ამ საქმეს, ხალხს მოგვეცი ბერკეტი, თავად ვნახოთ ყველა პუნქტი და თუ რამეა შესაცვლელი, შევცვალოთ.

იმ საარჩევნო ყუთებთან ჩვენ მივდივართ, ჩვენ! და ვირჩევთ იმას, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში და უნდა იყოს ისე, რო-გორც ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები გა-დავწყვეტ.

ჩვენ და არა ბიუჯეტიდან დაფინანსების შემყურე უპროფესიო ხალხი, რომლებიც ბო-ლო წლებში, „პოლიტიკოსებზე დასაქმდნენ“.

არ დაბრუნდით და 2020-ის არჩევნებს გარტო იმით ველოდები, რომ ეს უსაძუ-რი და გაუნათლებელი LOSER (უბაძინი) ტიპები, რომლებმაც „პროფესიად“ „პარტი-ული ლიდერობა“ განიხადეს, ძართულ პო-ლიტიკოს სივრცეს მოუშორებინან.

ამ პროცესის გასაადვილებლად, რამდე-ნიმე უმარტივესი ნაბიჯის გადადგმაა საქი-რო:

სექტემბერს ჩვენმა პოლიტიკურმა გუნ-დმა სრულიად საქართველოს მასშტაბით დაიწყო საყოველთაო გამოკითხვა, რო-მელიც სულ 3 შეკითხვას მოიცავს. გაც-ნობებთ ასევე, რომ გასული ერთი კვი-რის განმავლობაში, ქალაქ ბათუმში ჩვენ გამოვკითხეთ 77 ათასზე მეტი ბათუმე-ლი. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის საპარ-ლამენტო არჩევნებში 65 000-ზე ნაკლებმა ბათუმელმა მიიღო მონაწილეობა. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებშიც და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნე-ბში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ კი, 77 000-ზე მეტი ბათუმელი გამოვკითხეთ.

გამოკითხვა ანარმთა 1082-მა მოხალი-სემ გამოკითხვის შედეგად გაიკვია, რომ გამოკითხულთა 69%, ანუ 53 ათას 130 ბა-თუმელი მხარს უჭერს სამხედრო მიუმ-რობლობას, ანუ ავსტრიის, შვეიცარიის, შვედეთის, ფინეთის სამხედრო ნეიტრალი-ტეტის მოდელს. მერყეობს ან თავს იკავებს პასუხის გაცემისგან 16%. წინააღმდეგია მხოლოდ 15%.

ამასთან ერთად, გამოკითხულთა 75% ანუ 57 ათას 750 ბათუმელი მიიჩნევს, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა შე-საძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რუ-სეთთან სამშვიდობო პოლიტიკით და პირ-დაპირი დიალოგით სოხუმთან, ცხინვალ-თან და მოსკოვთან. მერყეობს ან თავს იკა-ვებს პასუხის გაცემისგან 14%, ხოლო წი-ნააღმდეგია მხოლოდ 11%.

გარდა ამისა, გამოკითხულთა 64%, ანუ 49 ათას 280 ბათუმელი თვლის, რომ სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობა იყო დანაშაულებრივი რეჟიმი. თავს იკავებს პასუხის გაცემისგან 25%, ხოლო წინააღ-მდეგია 11%.

ღიად მინდა, განვაცხადო, ჩვენ ვცხოვ-რობთ ტოტალური ტყულის ატმოსფერო-


„განცხადებები“ — ივანიშვილმა აშშ-ის ელჩი დაბლოკა, სტრასბურგს აკონტროლებს, ტრამპი პუტინის კაცია, კრამერი და ბრაი-ზა გავლენიანი „მსოფლიო ლიდერები არიან“ დ. ა. შ.

ეს სისულელეები რომ ითარგმნოს და და-სავლურ მედიაში გავრცელდეს, ნორმალუ-რი დასავლეთი ცხელ ჭადებს უტევს დააცხობს და ამ კლოუნების საინფორმაციო ღრუებს მარჯვედ ამოქოლავს.

სამსუხაროდ, მთარგმნელის პრობლემა ნამდვილად გვაქვს. ვინც ინგლისური, კომ-პიუტერი და დასავლურ მედიასთან კონტაქ-ტი იცის, ან „ნახსლუტი“ ან მენტალური „ნას-ხლუტი“ (ცხადია, ვისუშრე).

წერილის ბოლოს კი ვიტყვი, რომ რო-გორი „დაბერილი ლოყვითა“ და უარ-გონარევი შემფოთება-მუქართი არ უნდა ისაუბრონ, ყურადღების გადაამტანი რო-გორი მანერებიც არ უნდა ჩაატარონ, სა-ლად მოაზროვნე ხალხი კარგად ხედავს, რომ დაწყებული ზალკალიან-ლავროვის შეხვედრიდან, გაგრძელებული — ნებისმი-ერი ჩინოსნის „გადაცდომაზე“ მყისიერი რეაგირებით და პოლიტიკურ სცენაზე მხარდამჭერთა უპრეცედენტო რაოდენო-ბის მოპოვებელი პატრიოტთა ალიანსის აქტიურად შემოსვლით დამთავრებული, ქვეყანაში წლების განმავლობაში ამღვრე-ული პოლიტიკური ცხოვრება ნელ-ნელა ლაგდება და თუ პროცესებმა შესაბა-მისი ტემპი ასწია, 2020-ში, საგარეუ-დოდ, დალაგებული ეზო გვექნება, სადაც მხოლოდ შენებადა იქნება დარჩენილი.

ბიბა ბაბრიჭიძე



„ნამახვანჰესი“ თუ ტვივის ღვიწი?

„ნამახვანჰესთან“ დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სთხოვეს, გადაიხედოს საპროექტო დოკუმენტაციას. „მწვანე ალტერნატივამ“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ჰესის მშენებლობის პროცესი გამოიკვლიეს. გამოკვლევებში მთელ რიგ დარღვევებზეა საუბარი.

„ნამახვანჰესების“ კასკადი რიონზე, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შენდება. ენერჯეტიკის განვითარების ფონდის მონაცემებით, კასკადის დადგმული სიმძლავრე 433 მგვტია, სავარაუდო წლიური გამომუშავება – 1496 გგვტ.სთ, საინვესტიციო ღირებულება კი – 750 მლნ აშშ დოლარი. პროექტს კომპანია „ნამახვანი“ ახორციელებს.

2015 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ობიექტთან დაკავშირებით ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გასცა. გაიცა მშენებლობის ნებართვა, მათ შორის შეცვალეს სტრუქტურის ადგილმდებარეობა და დიზაინი, რაც, თავის მხრივ, გარემოზე ზემოქმედების ცვლილებას ნიშნავს. სამინისტრომ მო-



ითხოვა კომპანიას გარემოზე შემოქმედების შეფასების (გზმ) ახალი დოკუმენტი მოემზადებინა.

„აგვისტოში წარადგინეს გზმ, მაგრამ მხოლოდ ქვემო „ნამახვანჰესზე“, ზემო „ნამახვანჰესზე“ კი – არა. შინაარსობრივადაც ბევრი პრობლემაა, რაც საფუძველს წარმოადგენს იმისთვის, რომ სახელმწიფომ ხელახლა მოსთხოვოს ასეთი ანგარი-

შის შედგენა. არ იყო შეფასებული ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე, ე.წ. ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებზე და ასე შემდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ, 2015 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვა და ეკოლო-

ლობით ცნობილი ღვიწიების მიკროზონებს ადგება ზიანი.

„ტვივის ღვიწი, ფაქტობრივად, დაეკარგათ. ბოლო წლებში იქ ბევრი მცირე მარანი გაიხსნა, მათ შორის სახელმწიფოს ხელშეწყობით. გამოდის, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელს უწყობს მოსახლეობის ეკონომიკურად გაძლიერებას და იმავე სამინისტრომ ნებართვა უნდა გასცეს, მათ მიერ დაფინანსებული ვენახები დაიტბოროს ან ისე შეიცვალოს მიკროზონა, რომ იქ ტვივის ღვიწი ვეღარ დაწურონ“.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოზე ზედამხედველობის შეფასების დეპარტამენტის უფროსი მაია ბერაძე ამბობს, რომ სამინისტრომ 2015 წელს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა როგორც ზედა „ნამახვანჰესზე“, ასევე – ქვედაზე. ამ ეტაპზე კომპანიამ სკოპინგის ანგარიში (პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს) მხოლოდ ქვედა „ნამახვანჰესზე“ წარმოადგინა, რადგან მნიშვნელოვანი ცვლილებები იქ განხორციელდა.

„სამართლებრივად კომპანიას არაფერი დაურღვევია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რათა სკოპინგის დასკვნა გაიცეს“, – განაცხადა მაია ბერაძემ.

„ნამახვანჰესი“ ექსპლუატაციაში 2023 წელს უნდა შევიდეს.

თაა თოფურიანი

როგორ პროდუქტსა და სერვისებზე აისახა ინფლაცია?

საპარტნიორო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში – 1.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.4 პროცენტი შეადგინა.

ამავე პერიოდში, თამბაქოს გარეშე, ინფლაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 1.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გვაქვს სამომხმარებლო ფასების 5.7-პროცენტითაა ზრდა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2019 წლის სექტემბერში გასული წლის სექტემბერთან შედარებით 4.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 3.2 პროცენტით განისაზღვრა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 11.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.49 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: თევზი (16.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (14.6 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (12.6 პროცენტი), პური და პურ-პროდუქტები (10.8 პროცენტი), ბოსტნეული და ბალჩეული (10.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები

(7.6 პროცენტი), ასევე ზეთი და ცხიმი (3.0 პროცენტი).

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაზრდილია 14.6 პროცენტით, რაც 0.97 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (29.0 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (2.6 პროცენტი).

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 3.9-პროცენტითაა მატება, რაც 0.47 პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (9.1 პროცენტი), პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (4.0 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2.0 პროცენტი).

დასვენება, გართობა და კულტურა: ფასები გაზრდილია 6.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.39 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა გასართობი და კულტურულ მომსახურებაზე (6.6 პროცენტი).

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 4.0 პროცენტით, რაც 0.32 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქტები, აპარატურა და მოწყობილობა (6.6 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3.7 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (1.1 პროცენტი).



„სულს ნუ დამკრავ, და ვიყო“...

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, საქართველოში ტყის აღრიცხვის სამუშაოები დაიწყო. ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

პირველ ეტაპზე შერჩეულია ოთხი მუნიციპალიტეტი.

ლაგოდეხი პირველია, სადაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ტყის აღრიცხვა 21,000 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე უკვე ჩაატარა. ტყის აღრიცხვა დაწყებულია ახმეტის მუნიციპალიტეტში, ხოლო 2020 წლის ბოლომდე მათ რიცხვს დეოდოლისწყაროსა და თეთრწყაროს მუნიციპალიტეტები დაემატება. ტყის აღრიცხვის საფუძველზე მუნიციპალიტეტებში ტყის მდგრადი მართვის გეგმები შეიქმნება.

ტყის აღრიცხვის მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოები, ასევე საქართველოს ტყეების მდგრადი მართვის სამომავლო ხედვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელთან ლუიზა ვიტონთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა.

„ინვენტარიზაციის სამუშაოები საქართველოში 90-იანი წლებიდან არ განხორციელებულა. ევროკავშირისა და UNDP-ის დახმარებით ჩვენ მოვაზადეთ 15 ახალგაზრდა სპეციალისტი, დავამუშავეთ მეთოდოლოგია, შევქმენით ახალი ელექტრონული პროგრამა. განახლებული ინფორმაცია ტყის მდგრადი მართვის შესახებ, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობ-

რივი პარამეტრებით, საჭიროა იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სატყეო სამუშაოების სწორი გეგმები. ეს არის მდგრადი მართვის მთავარი წინაპირობა. ლაგოდეხში ჩატარებული ღირებული სამუშაოები წლის ბოლომდე რეგულარულად განაწილდება“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, ხელს უწყობს საქართველოს მდგრადი ბუნებრივი რესურსების დაცვას, ტყის მდგრადი მართვის დანერგვას და ეროვნული ექსპერტიზის გაზრდას ტყის აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებში, რაც უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა.

ტყის აღრიცხვის პროცესში მონაწილეობენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, ეროვნული სატყეო სააგენტოს მეტყვევებელ სპეციალისტების დახმარებით, შესაბამისი სასწავლო კურსი გაიარეს. პროექტის ფარგლებში, ევროკავშირისა და UNDP-ის ხელშეწყობით, 15 სპეციალისტი გადამზადდა.

სატყეო პროექტი ევროკავშირის გრძელვადიანი დახმარების ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სოფლის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის შექმნას და სოფლადმცხოვრებელ მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას. სოფლის განვითარების პროგრამა, ENPARD, 2013 წლიდან ხორციელდება და 2022 წლამდე გაგრძელდება, მისი სრული ბიუჯეტი 179.5 მილიონ ევროს შეადგენს.



სარედაქციო ფოსტიდან

ისევ პაპაშვილობაზე

პატივცემულ რედაქციას!

თქვენი გაზეთის ან. 27 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო მასალა სათაურით „ერთი მამაშვილობის ამბავი“, რომელიც ჩემი და ჩემი უფროსი ვაჟიშვილის პაატა ზაქარეიშვილის სრულიად უმსგავსო ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა. მას შემდეგ თვენახევარზე მეტი გავიდა და არაერთი ნაცნობი თუ უცნობი გამოემხმურა, ჩემი შვილებისგან კი არაფერი მსმენია. ამიტომ იძულებული ვარ, ისევ თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო მათ.

პაპას და გურის (განსაკუთრებით პაპას):

ამრიგად, მე ქართლოს ზაქარეიშვილი, ჩემს თავს მამას არ ვუნოდებ, რამდენადაც ეს ჩემი შვილების ინტერესში არ შედის, მოგახსენებთ შემდეგს:

თქვენი ისეთი ზღვარგადასული ამპარტავნები ხართ, რომ მამასთანაც კი ვერ ჰგუობთ ნორმალურ ურთიერთობას და იმ ფონზე, როცა თქვენ ყოველთვის ჩხუბით გასურთ საკითხის გადამწყვეტა, ჩემი მცდელობა მშვიდ გარემოში, მესამე პირის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მონაწილეობით საკითხის გარკვევა, შეურაცხყოფად მიგაჩნიათ. თქვენ შეურაცხყოფად მიგაჩნიათ ჩემი ტვივილი, რომ პაატამ ჯერ თვითონ ბოიფრენდობით მოიყვანა ცოლი და მერე ამ ბოიფრენდობით გაჩენილი ბავშვი თვითონაც ბოიფრენდად გათხოვდა, თქვენ ევროპული ტრადიციიდან ამის მეტი სასიკეთო ვერაფერი ისწავლეთ, რამდენადაც ისიც კი არ მიგაჩნიათ სირცხვილად, რომ მამას დედას აგინებთ, ლანძღავთ უკანასკნელი სიტყვებით, როგორცაც არ გალანძღავთ ყველაზე ზნედაციულ უღირს პიროვნებას, მაგალითად: **თქვენ მაგ არაკაცს 60 წელია, ვიცნობ** – გამოდის, ეგ რომ საშოდან გამოვიდა, მე კართან დავხვდი და ერთმანეთს გამარჯობა ვუთხარით. სიტყვა „მამაჩემი“, „ეს კაცი არის ბოროტების განსახიერება, ფარისევლი და გარეწარი „ადამიანი“, ამის ადგილი ჯოჯოხეთშია გამზადებული“. – ეს ყველაფერი ევროპელობით მოვდიო და ვეღარ არჩევთ საკუთარ დაცემულობას, მაშინ ფანატიკური სიყვარულის ფონზე.

მთელი 30 წლის მანძილზე მამათქვენი გაათახსირეთ და ლანძღვა-გინების გარდა ვერაფერი გამოიმეტეთ. ის კი არა, როცა მომავლად ჩაფიქრის კლინიკაში იწვა, ყველა დასასვენებლად გაიძურნეთ და ერთხელაც არ ისურვეთ მისი ნახვა. უბრალოდ ნახვა, ზრუნვაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია, საერთოდ არ არის ზრუნვა მამაზე. ეს თქვენთვის ბოროტებას ნიშნავს. რომელი ერთი ჩამოვთვალო, თქვენი არამზადული, უზნეო, მზაკ-

ვრული ქმედებებიდან, თუნდაც ის, რომ 30 წელი ბუნებაში არ არსებობდა ქართლოს ზაქარეიშვილი, არამცთუ პატრონი იმ ქონებისა, რომელზეც დღეს ზიხარ შენ, პაატა, აბსოლუტური დანაშაულებრივი მრავალმხრივი ქმედებით და დამნაშავე პირთა გამოყენებით, ნოტარიუსების სახით. ერთ-ერთი ბატონი ოთარ ზოიძეა, მეორე ქალბატონი ტაბიძის ქუჩიდან, გვარი აღარ მახსოვს. 2000 წელს ამონერილი კაცი ამონერეთ 1971 წლიდან, ესე იგი საერთოდ არ ვარსებობდი ბუნებაში.

საუკუნეებით განმტკიცებული კანონია, მშობლების სიცოცხლეში საოჯახო ქონებასთან ვერავის, მათ შორის, შვილებსაც ვერ ექნებათ პრეტენზია, ქონება არის ორივე მშობლის საკუთრება, მიუხედავად იმისა, თუ ვისი შექმნილია ეს ქონება. კონკრეტულ შემთხვევაში კი ქართლოს ზაქარეიშვილის ბინის შემქმნელია თვით ქართლოს ზაქარეიშვილი, მხოლოდ მისი ზრუნვით შეიქმნა 1988 წლის მდგომარეობით საოჯახო ქონება, რომელშიდაც ოტისოდენა მონაწილეობა არ მიუღია ოჯახის არც ერთ წევრს, მათ შორის მეუღლეს, რომელსაც ნახევარზე გააჩნია უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქონება (ევროპულ დონეზე) შექმნილია თანაცხოვრების პირობებში.

ამჯერად მე დამნაშავეს არ ვეძებ, ზოიძეების და მეორე ადვოკატის დანაშაულებს მივიჩნევ შეცდომად და მოვითხოვ, გაუქმდეს თვით იუსტიციის სამინისტროს წინაშე შექმნილი ეს დანაშაული, ჩემი ბინიდან ამონერა (ჩემ და უკითხავად) და ასევე ჩემ დაუკითხავად ბინის პრივატიზება პაატას მიერ, მაგრამ რამდენადაც მე არ მაქვს პაატას გონიერების იმედი, რომ ამ ფორმით ამ საქმეზე წამოვა, მე მივმართავ სამართლებრივად განსჯის ფორმას, რისგანაც ყველა დამნაშავე მიიღებთ თქვენ წილ სანქციებს. ეს არის ჩემი სათქმელი.

ნახვამდის.
ქართლოს ზაქარეიშვილი,
87 წლის პენსიონერი,

„თრიაქი გააგულა მეფე გიორგი...“



დაგაპატიმრებენ თუ არა გურიელები იმპროვიზირებულ საკონსტიტუციო სასამართლოში?

„შპს-ში ორი თვეა, რაც გაუქმებულია პატიმრობა იმ ნარკოტიკებზე, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შერყევას ან/და აგრესიულ ქცევას. ეს გადამწყვეტილება 2 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიიღო, თუმცა მას არ მოჰყოლია კონკრეტული განმარტება, რომელსაც ნარკოტიკულ ნივთიერებებზეა საუბარი.“

ამ დროისთვის არ არსებობს სია, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ნარკოტიკის ეფექტს კონკრეტულ ადამიანზე. სასამართლოს გადამწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ნარკოლოგებმა თქვეს, რომ ზუსტი სიის შედგენა ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. ნებისმიერი ნარკოტიკის გავლენა კონკრეტულ ადამიანზე სხვადასხვაანაირია, შესაბამისად ის, რაც შეიძლება ნაკლებად საზიანო იყოს ერთისთვის, მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ადამიანისთვის.

„2 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლომ, არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის სანქციები გათვალისწინებული 15-დღიანი პატიმრობა, ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ერთწლიანი თავისუფლების აღკვეთა, მხოლოდ მიჩვევის სწრაფად ჩამოყალიბების მალაპოტენციის ან/და აგრესიის გამო მომწვევი შემთხვევების არმქონე ნარკოტიკული საშუალებების ერთჯერადი მოხმარების ან/და უკანონო დამზადებისა და შენახვა-შემქენისათვის.“

სასამართლოში შეტანილი სარჩელი სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა და ახლა ნარკოლოგებთან, მოსამართლეებთან და სხვადასხვა ექსპერტებთან გადიან კონსულტაციებს, იმისთვის რომ სასამართლოს გადამწყვეტილება რეალობას მოერგოს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში განგვიცხადეს, მათი სარჩელის მიზანი იყო ყველა ტიპის ნარკოტიკის მოხმარებისთვის პატიმრობის გაუქმება, რასაც უნდა მოჰყოლოდა ჩანაცვლება სამედიცინო და სოციალურ ღონისძიებებზე ორიენტირებული მიდგომებით. თუმცა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

რა შეცვალა ამ კანონმა და ახლა რა მოცემულია:

„რიგ ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისა და მათი მცირე ოდენობით შექმნა-შენახვისათვის სანქციების სახით ვეღარ იქნება გამოყენებული თავისუფლების შეზღუდვა, რაც, თავის მხრივ, ასევე, შეიძლება გახდეს უკვე გამოტანილი განაჩენების გადასინჯვის სამართლებრივი საფუძველი. გარდა ამისა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან/და შექმნა-შენახვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი ექსპერტების მიერ უნდა გამოკვლეულ იქნეს და შეფასდეს, თუ რამდენად შესაბამებია მოხმარებული ან/და შექმნილი, თუ შენახული ნარკოტიკული საშუალება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ კლასიფიკაციას და მხოლოდ ასე გადამწყვეტს თავისუფლების აღკვეთის გამო-

ყენების საკითხი.“ – უთხრეს „რადიო თავისუფლებას“ სახალხო დამცველის აპარატში.

დავით ოთიაშვილი იყო ერთ-ერთი ნარკოლოგი, რომელსაც კონსულტაციები ჰქონდა ომბუდსმენთან. მისი რეკომენდაციაა, რომ ყველა ცალკეული შემთხვევა ექსპერტებმა ინდივიდუალურად განიხილონ:

„თუმცა, პრაქტიკაში მე რომ მომიწიოს ასეთი შეფასების გაკეთება, დაგუშვებ, რომ ვილაყ ადამიანის შემთხვევაში უფრო ნათელი იქნება დასკვნის გაკეთება, თუმცა ასევე ვფიქრობ, რომ ბევრ შემთხვევაში გამოჭირდება და ვერ გავაკეთებ ვერანაირ დასკვნას.“

ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს ნივთიერების ბუნება და ოდენობა, ადამიანის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ ადამიანის გამოცდილება ამ ნივთიერებასთან ან სხვა რომელიმე ნარკოტიკთან მიმართებაში და ა.შ სხვა შესაძლებლობას მიჭირო ინფორმაციის მისაღებად მე ვერ ვხედავ. უნდა გამოკითხოთ და იმედი გქონდეს, რომ სიმართლეს გიპასუხებს და არაფერს დაგვიმალავს ნარკოტიკების მიღების თაობაზე.“

პრაქტიკულად შეუძლებელი მისია ეკისრება ექსპერტს და ეს გადამწყვეტილება უფრო მეტ კითხვას აჩენს, ვიდრე პრობლემის გადჭრაში გვეხმარება.“

როგორც ნარკოლოგი გვეუბნება, კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ ნარკოკანონმდებლობაში ძალიან ბევრ ნივთიერებას არ აქვს განსაზღვრული მცირე ოდენობა, უბრალოდ, თავის დროზე ახავინ ჩანწერა და შესაბამისად გრავა ცარიელია და მისი ნებისმიერი რაოდენობა დიდ ოდენობად ითვლება, ამას არანაირი კავშირი არა აქვს, კონკრეტული ნარკოტიკი უფრო მძიმე და ზიანის მომტენია თუ ის ნარკოტიკი, რომელსაც განსაზღვრული აქვს მცირე ოდენობა. უბრალოდ თავის დროზე არ შეინუსხეს თავი, რომ ჩაენერათ და დარჩა ასე.

ჯერ უცნობია, როგორი შედეგი დადგება თუ დაგაგაგებენ და რომელიმე „კლუბური ნარკოტიკის“ მცირე დოზას აღმოგიჩენენ, თუმცა კანონი არსებობს, რომლის მიხედვითაც, თუკი ნარკოტიკული საშუალება არ იწვევს სწრაფ მიჩვევას და აგრესიას კონკრეტული ადამიანის შემთხვევაში, დაკავებული ციხეში არ უნდა ჩასვან.

ასე რომ, ახლა პარლამენტმა უნდა იფიქროს, როგორ მოარგებს სასამართლოს გადამწყვეტილებას დანარჩენ კანონმდებლობას იმისთვის, რომ არ მოხდეს მოქალაქეების უკანონო დაკავება.

სახალხო დამცველის აპარატშიც ამას უსვამენ ხაზს: „მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტში გაგრძელდეს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ შემუშავებული და პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შემდგომი განხილვა და უკვე ინიცირებულ კანონპროექტზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღწეული გადამწყვეტილება.“

ანი გურდული

იტალიაში ქართველი მამაკაცი დააკავეს

იტალიაში არასრულწლოვნების მიმართ მუქარისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით ქართველი მამაკაცი დააკავეს.

იტალიური მედიის ცნობით, ინციდენტი ქალაქ უდინეში მოხდა. როგორც პოლიციაში აცხადებენ, მათ 17 წლის მოზარდმა მიმართა, რომელიც აცხადებდა, რომ ორი უცნობი მამაკაცი პარკში მყოფ არასრულწლოვნებს სანთებელას და ფულს სთხოვდა. მისივე თქმით, მამაკაცები არასრულწლოვნებს შეურაცხყოფას აყენებდნენ და ეშუქებოდნენ. ადგილზე მისულმა პოლიციამ ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დაკავება სცადა. მან კარაბინერებს წინააღმდეგობა გაუწია. მამაკაცმა ერთ-ერთ პოლიციელს სახეში ხელი დაარტყა.

დაკავებული 44 წლის მამაკაცია, რომელიც წარმოშობით ქართველია. პოლიციის ცნობით, მას ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები თან არ აღმოაჩნდა. მეორე ეჭვმიტანილს პოლიცია ამ დრომდე ეძებს.

გამოვლინდა ხე-ტყის უკანონო მოპოვების 261 ფაქტი

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2019 წლის 01 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 261 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 13 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი - 97 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. იმერეთში აღიერიცხა 43 ფაქტი, სამცხე-ჯავახეთში - 33, შიდაქართლში - 27, აჭარაში - 24, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 14, ქვემო ქართლში - 10, მცხეთა-მთიანეთში - 6, გურიაში - 4, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კი 3 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

ჯამში ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 653 მ3-მდე ხე-ტყე.

ახალციხეში სასაზღვრო სექტორი „ხრიანის“ ახალი შენობა გახსნეს



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი „ხრიანის“ ახალი შენობა გახსნეს.

გახსნის ცერემონიალს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) წარმომადგენლები დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა ელიზაბეთ რუდს მადლობა გადაუხადა იმ განსაკუთრებული წვლილისთვის, რომელიც აშშ-ის მთავრობას შეაქვს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, როგორც სახმელეთო საზღვრის, ასევე, სანაპირო

დაცვის განვითარებაში. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ასევე, მადლობა გადაუხადა მესაზღვრეებს განეული სამსახურისთვის და მათ წარმატებები უსურვა.

„სასაზღვრო მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია. 2013 წლიდან დავიწყეთ ახალი სექტორების მშენებლობა, დღემდე რამდენიმე ათეული სექტორი და სამმართველო აშენდა. ამაში ძალიან დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენს პარტნიორებს. ამერიკის შეერთებული შტატების გვერდში დგომა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სანაპირო დაცვის განვითარების მიმართულებით. თითქმის მათი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ სანაპირო დაცვა გვყავს და ამით ვამაყობთ. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ახალი სექტორები მდგომარეობას შეუფასებებებს მესაზღვრეებს, რომლებსაც მართლაც მკაცრ პირობებში უწევთ მოვალეობის შესრულება. მე რამ-

დენიმე სექტორში ვარ ნამყოფი, უმეტეს მათგანში, 2013-2014 წლებში, როდესაც ვიყავი კურატორი მოადგილის რანგში, ასევე, მინისტრის რანგში. მართლაც, მძიმე კლიმატური პირობებია. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ კიდევ დამატებით ავაშენოთ სექტორები“, – განაცხადა შენობის გახსნის ცერემონიაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა.

„ჩემთვის დიდი პატივია, მინისტრ გომელაურთან ერთად ვაგხსნა ეს სასაზღვრო პუნქტი აქ, „ხრიანში“. ჩვენ ხანგრძლივი თანამშრომლობა გვაქვს სასაზღვრო პოლიციასთან და ვამაყობთ, რომ უკვე 9 ერთობლივი პროექტი დავასრულეთ აშშ-ის მთავრობის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მეშვეობით. ეს პარტნიორობა ძალიან კარგია იმიტომ, რომ იგი არა მხოლოდ აძლიერებს საქარ-

თველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ დიდ წვლილს შეაქვს გლობალურ და რეგიონალურ უსაფრთხოებაში“, – განაცხადა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა.

სასაზღვრო სექტორი „ხრიანის“ ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობა, რომელიც ზღვის დონიდან 2450 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში აშენდა და საქართველო-თურქეთის საზღვრის 18-კილომეტრიან მონაკვეთს მოემსახურება. შენობა ალჭურვილია თანამედროვე ინვენტარითა და უახლესი ტექნიკით.

მშენებლობის პროექტი აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) დაფინანსებით განხორციელდა.

60 მილიონი ახალი გვირაბისთვის



საქართველოში 2018 წელს მხოლოდ 51 138 ბავშვი დაიბადა... 46 524 აღაშენი ბარდაიხვალა!

საქართველოში 2018 წელს 51 138 ბავშვი დაიბადა, – ინფორმაციას საქსტატი ავრცელებს. აღნიშნულის მიხედვით, 2016 წელთან შედარებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 9.6 პროცენტით შემცირდა!!!

ყველაზე მეტი ბავშვი თბილისში დაიბადა, რაც მთლიანი მონაცემის 31.6 პროცენტია, ხოლო ყველაზე მცირე რიცხვი ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში აღირიცხა. სულ 328 ბავშვი, ანუ – 0.6 პროცენტი.

რაც შეეხება სქესთა სტატისტიკას, 2018 წელს საქართველოში 26 538 ბიჭი და 24 600 გოგო დაიბადა. შესაბამისად, ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოსთან ერთად 107.9 ბიჭი გაჩნდა.

2018 წლის მონაცემებით, 15-19 წლის ასაკის 1000 ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ 32.3 შეადგინა, ხოლო 20-24 წლის ასაკის 1000 ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ – 121.9.

2016 წელთან შედარებით ეს მონაცემები შემცირებულია.

რაც შეეხება დედის საშუალო ასაკს პირველი ბავშვის დაბადებისას, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 25.6 წლამდე გაიზარდა, მაშინ როცა 2016 წელს 25.0 წელი იყო.

არარეგისტრირებულ ქორწინებაში 2018 წელს 17 375 ბავშვი დაიბადა, რაც

ცოცხლად დაბადებულთა 34.0 პროცენტს შეადგენს. 2018 წელს 438 ბავშვი მკვდრად დაიბადა, რაც 2016 წელთან შედარებით 21.5 პროცენტით ნაკლებია.

რაც შეეხება გარდაცვალების სტატისტიკას, 2018 წელს გარდაცვლილთა რიცხვი 2016 წელთან შედარებით 8.4 პროცენტით შემცირდა და 46 524 ადამიანი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, 2018 წელს გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაბადების მსგავსად კვლავ თბილისში აღირიცხა – 12 122 ადამიანი (26.1%), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში – 656 ადამიანი (1.4 %).

2018 წელს 1 წლამდე ასაკის 416 ბავშვი გარდაიცვალა, რაც 2016 წელთან შედარებით 0.9 პუნქტით შემცირებას გულისხმობს.

გარდაცვალების უმეტეს მიზეზად კი, 2018 წლის მდგომარეობით საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები (46.3 პროცენტი) და სიმსივნეები (15.8 პროცენტი) დასახელდა.

რაც შეეხება 5 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალების მიზეზს, 2018 წლის მონაცემებით, ჭარბობს ტრავმები, მონამვლები და გარეგანი მიზეზების შემოქმედების ზოგიერთი სხვა შემთხვევები.

ჩრდილოეთ-სამხრეთი დერეფნის მაგისტრალის შემადგენელი, ქვემეთი-კობის 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობის თანადაფინანსებისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 60 მილიონი აშშ დოლარის ფინანსური რესურსი დაამტკიცა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ქვემეთი-კობის გზისა და გვირაბის მშენებლობისთვის აზიის განვითარების ბანკმა (ADB) უკვე გამოყოფს 415 მილიონი აშშ დოლარი, სახელმწიფოს თანადაფინანსება კი 83.6 მილიონი აშშ დოლარი იქნება. ქვემეთი-კობის გზის მშენებლობა 2 მონაკვეთად არის დაყოფილი, ხელშეკრულება ორივე მონაკვეთზე გაფორმებულია. ჯამში დაგეგმილია 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის 22.7 კმ. გზის, 6 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობა. მათ შორის, ერთი 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობა.

ქვემეთი-კობის 9 კმ-იანი გვირაბი 15 მეტრი სიგანის იქნება, რაც საკმაოდ იშვიათია არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით და უდიდესი დიამეტრის მქონე გვირაბების ჩამონათვალში შევა. ქვემეთი-კობის გზისა და გვირაბის მშენებლობის ღირებულება ჯამში 1,2 მილიარ-

დი ლარია. ქვემეთი-კობის მონაკვეთი სატრანზიტო მნიშვნელობის ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის ნაწილია. გზა გადის რთულ გეოგრაფიულ მარშრუტზე და ზამთრის პერიოდში დიდთოვლობით ხასიათდება.

ახალი გზა და 9 კმ-იანი გვირაბი მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და სატრანზიტო მიმოსვლა, წელიწადის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად იქნება შესაძლებელი. გვირაბი უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში მგზავრების უსაფრთხო და საიმედო გადაადგილებას, ახალი გზა კი აარიდებს სატრანსპორტო ნაკადს ყაზბეგის ეროვნულ პარკს და გუდაურის ზამთრის კურორტს. გზა ასევე გააუმჯობესებს ზამთრის პერიოდში გარე სამყაროსგან მოწყვეტილი ხეობის მოსახლეობის პირობებს. ახალი გზა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებული თუ დაგეგმილი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, ხელს შეუწყობს ხეობაში მოსახლეობის დაბრუნებას, ახალი ტურისტული მიმართულებების შექმნას და ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლებას. პროექტის შემოქმედების არეალში ხეობის 9 სოფელი მოხვდება.



ბაბარუს მიმდინარე გენერალური ასამბლეა უდავოდ შევა ამ ორგანიზაციის ისტორიაში – უკრაინის სახელით. მსოფლიო ორგანიზაციის 190-ზე მეტი წევრი სახელმწიფოს ცნობიერებაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა არაფერ განსაკუთრებულს და მნიშვნელოვანს არ უკავშირდება, დღეს კი ყველას პირზე აკერია „უკრაინა“, თან ისეთ ქვეყანასთან ერთად, როგორც აშშ-ია.

უკრაინელი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი უნდა იყოს საკუთარი ქვეყნისადმი ესოდენი ყურადღება, ვინაიდან ის უფრო უარყოფითა, ვიდრე დადებითი.

ამერიკა-უკრაინის, უფრო სწორად აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის და მისი უკრაინელი კოლეგის ზელენსკის სატელეფონო საუბარმა გენერალური ასამბლეის სესიის სრული ყურადღება მიიპყრო და უკან ჩამოიტოვა მაღალი ტრიბუნიდან გახმინებული მთელი რიგი საკითხები.

სენსაციას დახარბებულმა მედიამ უმალ აიტაცა საუბრის შინაარსი და ლამის რენტგენის სხივში გაატარა ყოველი სიტყვა და წინადადება. ჟურნალისტებისთვის ცეცხლის შენთების ინიციატორმა აშშ-ის დემოკრატიულმა პარტიამ, კონგრესში მოკალათებულმა დემოკრატებმა, წამიც არ დააყოვნეს პრეზიდენტ ტრამპისთვის ახალი „ანტისახელმწიფოებრივი“ დანაშაულის მიწებება, რაც, მათი აზრით, იმპიჩმენტის სანინდარია.

თუ როგორ წარიმართება დემოკრატთა ანტიტრამპული ძალისხმევა, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტის ყურადღების დიდი ნაწილი ახალი კამპანიის ჩაქრობას მოხმარდება, ფაქტია.

აშშ-ის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების მართონი კარგა ხანია, დაიწყო. დემოკრატიული პარტიის კანდიდატებიდან ჯერჯერობით პირველობა აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ზელონის მხარეზეა, რესპუბლიკელებიდან მას მოქმედი პრეზიდენტი ტრამპი დაუპირისპირდება.

ორივე პარტია გააფთრებით ებრძვის ერთმანეთს „თეთრი სახლის“ დასაკავებლად, კონგრესში უმრავლესობის გასაყვანად. ორივე პარტია ძალას არ იშურებს ერთმანეთის ჩასაძირად, გასაშვებლად. ორივე გაფაციცებით ცდილობს, მოიპოვოს მონინალმდებელზე კომპრომიზები – ხშირად ისეთი ნაცადი ხერხის გამოყენებით, როგორცაა მოქრთამვა, დაშინება, ფალსიფიკაცია და ამ დროს მოულოდნელად, როგორც მნიფევაში, ისე ვარდება დემოკრატების ხელში ტრამპ-ზელენსკის სატელეფონო საუბარი, გაეროს შტაბ-ბინაში გამართული ხანმოკლე შეხვედრა.

ორი საუბრის დეტალებში აღწერა შორს ნაგვიყვანს და არც არის საჭირო, ვინაიდან მკითხველმა იცის ამის შესახებ, ამდენად ვიტყვი მოკლედ: სატელეფონო საუბარში ტრამპი მიანიშნებს ზელენსკის, რომ ზელონის ოჯახთან დაკავშირებული კორუფციის მასალები მას წარუდგინოს.

ეს ისტორია არასდროს ყოფილა სამსჯელოდ გამოტანილი. იყო ლაპარაკი – ჭორის დონეზე და ალბათ ასედაც დარჩებოდა, რომ არა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და მასში ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ზელონის მონინალიეობა.

დემოკრატები ტრამპს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან უბრძანა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ზელონის სანინალმდებლო მასალების წარდგენა, რაც ძალის გამოყენებას ნიშნავს სხვა ქვეყნის პრეზიდენტზე, ამასთანავე აშშ-ის კონსტიტუციით დაუშვებელია პრეზიდენტის მიერ მონინალმდებელ კანდიდატზე კომპრომატების შესაგროვებლად ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

ამ „თავდასავლის“ მიხედვით, ზელონის საკითხი, რომელიც კორუფციას უკავშირდება, ამასთანავე ძალის გამოყენებას (უკრაინის გენეროკურორის გათავისუფლება), დემოკრატების მიერ სულაც არ მიიჩნევა შეცდომად ან ვიცე-პრეზიდენტის მხრიდან ძალის გამოყენებად, მაშინ როდესაც ტრამპის მოქმე-

დება საშინელებად აღიქმება. ძნელი გამოსაცნობია – შეძლებენ თუ არა დემოკრატები ამ პროცედურის ბოლომდე მიყვანას, მაგრამ მოქმედ პრეზიდენტს რომ სულს ამოხდინა და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბრძოლისუნარიანობას შეუმცირებენ, ფაქტია.

რაც შეეხება უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის, რომელიც ტრამპ-ზელონის ორთაბრძოლის შუაშია მომწყვდეული, დასამზიდებელი არაფერი აქვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი და ტრამპის სატელეფონო საუბარი იხილა მსოფლიომ. საუბარმა ყველას დაანახვა, რამდენად „სუვერენული“ და „დამოუკიდებელია“ უკრაინა. ზელენსკი დაჰპირდა ტრამპს, რომ მალე დანიშნავს „თავის კაცს“ გენერალურ პროკურორად, რომელიც „მოუფლის“ ზელონის საქმეს.



პირველი ნაბიჯი



ამერიკული მედია დამცინავად აკრიტიკებს უკრაინის პრეზიდენტს და მას მლიქვნელსაც უწოდებს ტრამპისთვის ქათინაულების მიძღვნის გამო, დაახლოებით ასეთი – ოო, ჩემო დიდო მასწავლებლო და ა.შ.

მედია განსაკუთრებულ ყურადღებას ამხვილებს ტრამპ-ზელონის გაეროს შტაბ-ბინაში გამართული შეხვედრის იმ ნაწილზე, სადაც ტრამპი ზელენსკის ურჩევს უკრაინის პრობლემებთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკოს.

ტრამპის ნათქვამი არა მარტო უკრაინას ეხება, არამედ ჩვენც. ჩემი აზრით, უკრაინული „გაკვეთილის“ შესწავლა ურიგო არ იქნებოდა საქართველოს ხელისუფლებისთვისაც. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ის რალაც დასკვნებს აკეთებს და იმ ნაბიჯებს დგამს, მოჭარბებული სიფრთხილით და შიშით საზოგადოებას რომ დააბრდნენ 2012 წელს. ეს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა. მხედველობაში მაქვს ზალკალიან-ლაგროვის საუბარი, რომელიც გენერალური ასამბლეის ჩარჩოებში გაიმართა.

ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გავაგრძელებ უკრაინულ თემას, რომელმაც ორივე პრეზიდენტს თავისი ტვივლის მეტი არაფერი არ მოუტანა. გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ზე-

ლონსკის გამოსვლა არაფრით იყო გამორჩეული ან დასამახსოვრებელი. მას უკრაინის დელეგაციის გარდა დარბაზში შემორჩენილი თითო-ორი დელეგატი თუ უსმენდა.

ზელონსკის სიტყვა და მოქმედება (ტყვიის ჩვენება) ისეთივე სპექტაკლი იყო, როგორც წინამორბედ პოროშენკოს – რუსული აგრესიის დამახასიათებელი თვალსაჩინოების დემონსტრირებით. გაეროს ტრიბუნაზე იდგა პოროშენკოს ორეული, ოღონდ დაპატარავებული ფორმატში.

გენერალური ასამბლეაზე სიტყვით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც გამოვიდა, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ოპოზიციამ. ტელეკომპანია „პირველების“ ეთერში ოპოზიციონერმა ბოკერიაშვილმა, რომელთანაც საუბარს ჟურნალისტი ჟიჟილაშვილი უძღვებოდა, განაცხადა,



პირველი ნაბიჯი



რომ ზურაბიშვილის სიტყვა იყო სუსტი, არაფრის მოქმედი – განსაკუთრებით რუსეთის მიმართ, რომ მას არ დაუდანაშაულებია რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, არ გაუკიცხავს რუსეთი აგრესიისა და ოკუპაციისთვის და ა.შ.

ბოკერიას, დაუმსახურებელ, კრიტიკას ცეცხლი შეუთო ჟიჟილაშვილის ნათქვამმა – ნახეთ, რა კარგად გამოვიდა უკრაინის პრეზიდენტი, რა კრიტიკული იყო რუსეთის მიმართო. როგორც ჩანს, ჟიჟილაშვილს სხვა პოლიტიკური გემოვნება აქვს – ავანტიურიზმისკენ გადახრილი. ის ერთადერთია, ვისაც ზელენსკის სიტყვა მოეწონა არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინაშიც.

რაც შეეხება ზურაბიშვილის გამოსვლას, ეს იყო მოზომილი, ასამბლეის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების საქართველოზე მორგებული გამოსვლა.

ის, რომ მასში არ იყო რუსეთის მიმართ ჭარბი ლანძღვა-გინება, მხოლოდ დადებითობას მატყებს ამ სიტყვას. საქართველომ ლანძღვა-გინებით კი არ უნდა გამოიჩინოს თავი, როგორც ეს ბოკერიას და მისთანებს ჰგონიათ, არამედ აკადემიურობით, თავშეკავებულობით, ზრდილობით. რა მოუტანა ქვეყანას რუსეთის გინება? ცუდის მეტი, არაფერი!

ახლა რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანის შეხვედრას რუს კოლეგა ლავროვთან. საუბრის დეტალები ჩვენთვის არ არის ცნობილი და ასეთად დარჩება, ალბათ, ვინაიდან სახელმწიფოს ინსტიტუტი მოითხოვს ამას. სახელმწიფო დოკუმენტის ან საუბრის ცალმხრივი გასაჯაროება, საფრანგეთ-უკრაინის ურთიერთობებში იყო ნახსენები – ზელენსკის მხრიდან კრიტიკულად, რამაც უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ბერლინსა და პარიზში.

საუბრის დეტალების გამომზეურება ორი მხარის თანხმობით ხდება, რაც დიპლომატიაში, საერთოდ პოლიტიკაში მოტივალე ადამიანმა კარგად უნდა იცოდეს. ოპოზიციას აცხადებს, რომ მან არაფერი იცოდა ორი მინისტრის შეხვედრის თაობაზე და ისტერიულად გაჰყვიროს – ჩვენთან შეთანხმებული არ ყოფილაო.

დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი წინასწარ უთანხმებს ოპოზიციას კოლეგა უცხოელთან დაგეგმილი შეხვედრის განსახილველ საკითხებს. გარდა ამისა, ზალკალიანს რომ წინასწარ ეთქვა, ნიუ-იორკში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა შეხვედო, გაიმართებოდა ეს შეხვედრა?

ცხადია, არა ვინაიდან ოპოზიციის და საქართველოს „კეთილშობილურ“ დასავლელი პარტნიორები ხომ დაბეჯითებით გვეუბნებიან, რუსეთთან შეხვედრას არაფერი მოჰყვება და ამდენად უმჯობესია თავის შეკავება. მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების რუსეთზე ზეწოლით უნდა მოგვარდეს საქართველოს პრობლემები.

თუ რა შედეგი მოგვიტანა აბსტრაქტულმა „საერთაშორისო საზოგადოებამ“ – კარგად ვიცით. წლების განმავლობაში ჩავგვიჩინებენ, რომ თუ მაინც დამაინც აუცილებელია რუსეთთან შეხვედრა, ის უნდა გაიმართოს დასავლელ პარტნიორებთან ერთად. ჩვენი რუსეთთან მარტო შეხვედრა გამოირიცხეულია, ვინაიდან რუსეთი მოგვატყუებს და მისთვის სასურველ რალაცაზე დაგვიყოლებს.

და ამას ამბობს არა მარტო ნაცური ოპოზიციის, არამედ მას აყოლილი მედიაც. იმის შიშმა, რომ ჩვენ მარტონი რუსეთს ვერ დავეღაპარაკებთ, ვინაიდან შეგვჭამს, დროში გაჭიმა მოსაგვარებელი პრობლემები. რუსეთი კი რა ხანია, გვეუბნება – დავინტერესდებით, რაზეც ყოფილმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უპასუხა – დასავლელ პარტნიორებს დავეღაპარაკებთ.

დაელაპარაკა თუ არა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს რუსეთისკენ არავის გაუხედავს. იქნებ დაელაპარაკა და მათაც უთხრეს – შეხვედრა არ არის საჭიროო?

როგორც ვხედავთ, აკრძალული შეხვედრაც გაიმართა და ზალკალიანის გადაურჩა ლავროვის შეჭმას. რაც შეეხება საუბარს, დიდი მარჩიელობაც არ უნდა იმის მიხედვრას, რომ ის შეხვედრა ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების მოგვარებას, ნატოში განეკრებას და ა.შ. ერთი შეხვედრა, რომ წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, ფაქტია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯი მოლაპარაკებებისკენ, რაც მისასალმებელია.

რაც შეეხება ნაცური ოპოზიციის გულისწყრომის – არ შეგვითანხმესო. როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში, ვინმეს რამეს უთანხმებდნენ? ბოლოს და ბოლოს, 2008 წლის ცხინვალის ომით მათ ხომ ფაქტის წინაშე დააყენეს მთელი საქართველო?!

კამელტ შინაშვილი,
პოლიტიკოლოგი,
ტელ: 577 40 65 65

გერმანიის ქვეყნის გაერთიანების დღე აღნიშნავს

ზიმი ბერლინსა და სხვა დიდ ქალაქებში გაიმართა. ლონისძიებებში ქვეყნის პირველი პირებიც მონაწილეობდნენ.

1990 წლის 3 ოქტომბერს ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთი მიწა ფორმალურად გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში გაერთიანდა, რამაც ქვეყნის გაერთიანებას საფუძველი დაუდო.


გერმანიის გაერთიანების დღის აღნიშვნა თავდაპირველად ცხრა ნოემბერს იგეგმებოდა. სწორედ ამ დღეს დაინგრა 1989 წელს ბერლინის კედელი, მაგრამ რადგან ცხრა ნოემბერი ნაცისტების მიერ ებრაელების მიმართ განხორციელებული მასშტაბური დარბევის თარიღს ემთხვეოდა, გერმანიის ერთიანობის დღეს 3 ოქტომბერს აღნიშნავენ.



ფსენიანმა ახალი ბალისტიკური რაკეტა გამოცდა

ჩრდილოეთ კორეის იაპონიის ზღვაში ახალი ბალისტიკური რაკეტის ტესტირება დადასტურდა და განაცხადა, რომ გამოცდა წარმატებით ჩატარდა. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

ეს წელს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული რაკეტის გამოცდის უკვე მეთერთმეტე შემთხვევა იყო. თუმცა როგორც BBC წერს, ბოლო ტესტირება ფხვნიანისთვის მნიშვნელოვანია, რადგან წყალქვეშა რაკეტა ჩრდილოეთ კორეისთვის ნიშნავს, რომ ძალიან შორ ტერიტორიაზე შეუძლია იარაღის გაშვება.




რაკეტების გაშვებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთ კორეასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკებები განახლდება. თუ ეს მოლაპარაკებები წარმატებული იქნება, მათი მიზანია, რომ მოლაპარაკებების შედეგად განახლდება ქვეყნების ლიდერების დონაზე დიპლომატიის განხორციელება.

ნალდ ტრამპი და კიმ ჩენ ინი 2019 წლის ივნისში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საზღვარზე ხანმოკლე შეხვედრაზე შეთანხმდნენ, თუმცა ეს აქამდე არ მოხდარა.

ტრამპის ქონება 3,1 მილიარდ დოლარამდე შეზღუდვა

აშშ-ის ლიდერი ქვეყნის უმდიდრესი ადამიანების სიაში 275-ეა. გამოცემის ცნობით, ტრამპის ქონება 2018 წელთან შედარებით 16 პროცენტით შემცირდა. გააზრებინებდა მდგომარეობა 119 პროცენტით გაზარდა.



გამოცემის ცნობით ამის მიზეზია ის, რომ დეველოპერები შენობებს მის სახელს აღარ არქმევენ.

ციხავ, მოგიკვდეს აზიანებული...

რას აპროტესტებენ პატიმრები ცხინვალში?

ცხინვალის შრომა-გასწორების კოლონიის არც ერთ პატიმარს შიმშილობის გამოცხადების შესახებ წერილობით არ უცნობებია დაწესებულების ადმინისტრაციისთვის, — განუცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ზალინა ლალიევამ ჟურნალისტებს.

პატიმრების მიერ შიმშილობის დაწყების შესახებ სოციალური ქსელების მომხმარებლებმა გასულ შაბათ-კვირას შეიტყვეს. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სასჯელალსრულების სისტემაში წელიწად-ნახევრის წინ გატარებული რეფორმის შედეგად, კოლონიაში არსებული პირობები მაქსიმალურად მიუახლოვდა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის აღსრულების კოდექსს, რითაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ხელმძღვანელობს.

ლალიევას განცხადებით, რეფორმამდე ყველა კატეგორიის პატიმარი ერთნაირ პირობებში იხდიდა სასჯელს. „თუკი ადრე მსჯავრდებულთა უფლებები ირღვეოდა, ახლა საკნები თანამედროვე სტანდარტებით არის აღჭურვილი. პირობები გაუმჯობესდა“.

ზალინა ლალიევას განცხადებით, პატიმრების შიმშილობაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ისინი წერილობით მიმართავენ ადმინისტრაციას, რომ უარს ამბობენ საკვებზე.

„მოცემულ შემთხვევაში, ამას ჰქვია შრომა-გასწორების დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევა“.

დღეს ცხინვალის კოლონიაში 56 პატიმარია — 38 მსჯავრდებული და 18 ექვემდებარებული. პატიმრებმა შიმშილობა 27 სექტემბერს გამოაცხადეს. მიზეზზე მათ დაწერეს პარლამენტის სპიკერ ალან ტადტაევის სახელზე გაგზავნილ წერილში.

პატიმრების პროტესტის მთავარი მიზეზი არა მხოლოდ კოლონიაში არსებული პირობებია, არამედ, მათი სიტყვებით, სასჯელის მოხდის სფეროში რუსეთის კანონმდებლობის ბრმად კოპირება. თუკი ადრე ნათესავენ შექმლოთ, ყოველდღე გადაეცათ პატიმრისთვის საკვები პროდუქტები, ახლა ეს მხოლოდ თვეში ორჯერ არის ნებადართული, ოჯახის წევრებთან პაემნების რაოდენობა კი წელიწადში მ-მდე შემცირდა.

პატიმრების შიმშილობის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივი აქტივისტის ფატიმა მარგიევას საიტისგან გავრცელდა მას შემდეგ, რაც მას პატიმრების ნათესაებმა მიმართეს. ამას მოჰყვა პარლამენტის სპიკერ ალან ტადტაევის საჯარო რეაქცია. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარლამენტარებმა მიიღეს წერილი პატიმრებისგან და პროფილური კომიტეტი მუშაობს საკითხზე.

ერთ-ერთი პატიმრის დედამ „ესო კავკასიანთან“ საუბარში დაადასტურა ახალი წესების შემოღება ამანათებსა და პაემნებზე საპატიმროებში. მისი სიტყვებით, თუკი ადრე საკვების მიტანა ყოველდღე შექმლოთ, ახლა ეს მხოლოდ წელიწადში 6-ჯერ არის ნებადართული, ოჯახის წევრებთან პაემნების რაოდენობა კი წელიწადში მ-მდე შემცირდა.

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივი აქტივისტის ფატიმა მარგიევას სიტყვებით, ახალი წესების შემოღებით აღელვებულმა პატიმრებმა პარლამენტს ჯერ კიდევ „რესპუბლიკის დღის“ აღნიშვნამდე — 20 სექტემბრამდე — მიმართეს, თუმცა, კანონ-

მდებლებისგან რეაქცია არ ყოფილა:

„შიმშილობის მიზეზია — ამანათების გადაცემის ნორმების შეცვლა. თუკი ადრე ყოველდღე, დილიდან ოთხ საათამდე, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ამანათის შეგზავნა, ახლებური, რუსული ნორმებით, რომელიც ჩვენთანაც გადმოიღეს, ამანათის შეგზავნა ორ თვეში ერთხელ შეიძლება მათთვის, ვინც ციხეშია და თვეში ერთხელ მათთვის, ვინც საგამოძიებო იზოლაციაშია. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ციხეში არ არის პატიმრების გამოკვების საშუალება, იქ არსებული საკვებით არსებობა შეუძლებელია და პატიმრებს თავი იმით გაქონდათ, რომ პატიმრების შიმშილობა ან ნათესაებები ახერხებდნენ რაღაცის მიტანას ყოველდღიურად. ახალი ნორმის ამოქმედების პირობებში ადამიანები შიმშილობენ. მათ გადაწყვიტეს რაღაც სახით პროტესტის გამოხატვა, რომ ადრინდელი ნორმები დააბრუნონ. არ არის იმის გაგება, რომ ჩვენს ციხეში ისედაც მკაცრი პირობებია. ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის სხვადასხვა ვადით იხდიან სასჯელს, იქ ერთნაირად მძიმე პირობებში იმყოფებიან, ფაქტობრივად, განსაკუთრებული რეჟიმის ზონაში“.

ფატიმა მარგიევას სიტყვებით, გაუქმდა აუცილებელი სასეირო სივრცის არარსებობის ერთგვარად საკომპენსაციოდ პატიმრების ცალკეული კატეგორიისთვის არსებული ღია კამერები:

„ახლა მათ დახურულ კამერებში კეტავენ. მათ მიმართეს პარლამენტს, სადაც არის საკანონმდებლო კომიტეტი, რომელსაც გარკვეული ზომები უნდა მიეღო და იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოღებულ ახალ წესებში შესწორებები შეეტანა, მაგრამ ეს არ გაკეთებულა. ასევე ბევრჯერ დაისვა საკითხი, რომ საშუალო სიმძიმის

და მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს, აგრეთვე მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს, რომლებსაც მკაცრი რეჟიმი არა აქვთ მისჯილი, საპატიმროებში ყოფნის ერთი წელი, იქ არსებული პირობების გამო, ორ წლად ჩათვალოთ, თუმცა არც ეს გაკეთებულა“.

ციხეების შრომა-გასწორების კოლონიის პატიმრებმა ორი წლის წინ, 2018 წლის ივლისშიც გამოაცხადეს შიმშილობა. მაშინ იუსტიციის ახალდანიშნულ მინისტრს მოუწია ჟურნალისტების თანდასწრებით მათთან მოლაპარაკებებზე წასვლა.

ორი წლის წინათ მსჯავრდებულები მოითხოვდნენ პატიმრობის პირობების გაუმჯობესებას: სასეირო ზონის გაფართოებას, საკნებში ფანჯრების გაჭრას ან ჭრილის გაფართოებას, აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ არ შემოელოთ შეზღუდვები ამანათებზე და ოჯახის წევრებთან პაემნებზე. ერთ-ერთმა პატიმრობამისჯილმა იურისტმა კი ლალიევას ურჩია ბრმად არ გადმოელო ამ სფეროში რუსეთში მოქმედი კანონები, არამედ შეეტანა თავისი შესწორებები.

ერთი წლის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ ამაყად გამოაცხადა, რომ ბოლო 80 წლის განმავლობაში პირველად გაარემონტეს ადგილობრივი ციხე, 60 კაცზე გათვლილ სასაიდლოლოში კი დღეში სამჯერ გასცემდნენ საკვებს, რომლის ღირებულებაც დღეში 60-დან 112 რუბლამდე გაიზარდა. პატიმრების ახალი პროტესტით თუ ვიმსჯელებთ, იუსტიციის სამინისტრომ არა მარტო არ შეასრულა თავისი დაპირებები, არამედ შეუდგა სასჯელალსრულების სისტემის რუსეთის სტანდარტებზე გადაყვანას.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

მილიონი დოლარი ნარკობარონისგან

ამერიკელი პროკურორების განცხადებით, ნარკობარონმა ელ ჩაპომ ჰონდურასის პრეზიდენტის ძმას 1 მილიონი დოლარი მისცა, რომლის გადახდაც ქვეყნის ლიდერისთვის ქრთამის სახით უნდა მოხდარიყო. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

ეს ბრალდება ნიუ-იორკის სასამართლოს სსდომავზე პროკურორებმა წაითხეს, სადაც ჰონდურასის პრეზიდენტის ხუან ორლანდო ჰერნანდესის ძმის პროცესი გაიმართა. ხუან ანტონიო ჰერნანდესი ნარკოტიკების წინააღმდეგ სპეცოპერაციის დროს მაიაში გასული წლის ნოემბერში დააკავეს.

ჰონდურასის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბრალდება „100%-ით ტყუილი, აბსურდი და სასაცილოა“. ხუან ანტონიო „ტონი“ ფერნანდეს ოთხი სხვადასხვა ბრალი აქვს წარდგენილი, მათ

შორის აშშ-ში კოკაინის უკანონო იმპორტი და იარაღის დანაშაული. ნიუ-იორკის ფედერალურმა სასამართლომ ნარკობარონ ხოაკინ გუსმანის (მეტსახელად ელ ჩაპო) განაჩენი 17 ივლისს გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

62 წლის ხოაკინ გუსმანი წარდგენილ 10 ბრალდებაში ცნეს დამნაშავედ, მათ შორის ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფულის გათეთრებაში.

ელ ჩაპო მექსიკის ციხიდან გვირახის დახმარებით 2016 წელს გაიქცა, თუმცა მოგვიანებით დააკავეს, მისი ექსტრადირება აშშ-ში 2017 წელს მოხდა.

61 წლის ელ ჩაპო მექსიკური ნარკოკარტელის „სინალოას“ ხელმძღვანელია, რომელიც აშშ-ში ნარკოტიკების ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებლად ითვლება. ის მექსიკაში 2016 წლის იან-



ვარში დააკავეს (მათ შორის მსახიობ შონ პენის ინტერვიუს დახმარებით) და შემდეგ აშშ-ში მისი ექსტრადირება მოხდა. 2019 წლის თებერვალში ის ბრალდების 10-ვე მუხლით, მათ შორის ნარკოტიკების კონტრაბანდაში, იარაღით ვაჭრობასა და ფულის გათეთრებაში დამნაშავედ ცნეს.

კავიჭულაცია

იაპონური ვაზაირა

საძარბაველო ეროვნული ნაკრები იაპონიაში მიმდინარე მსოფლიო თასზე 9 ოქტომბერს ჯგუფური რაუნდის დასკვნით მატჩს გამართავს ავსტრალიასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, „ბორჯღალოსანთათვის“ აზიური ფორუმი უკვე დასრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თანაც – სამარცხვინოდ.

მილტონ ჰეიგის გუნდი აქამდე სამჯერ შეხვდა ფიჯის და ორჯერ ნააგო, თუმცა, გუშინდელი მარცხი მაინც ყველაზე მტკიცველი იყო, რადგან კუნძულებმა 45:10 მოგვიგეს და კაცი ვერ იტყვის, რომ – დაუმსახურებლად.



მეტოქემ ისეთ „საჩვენო“ კომპონენტშიც კი დაგვჯაბნა, როგორცაა შერკინება. აღარაფერს ვამბობ იმ უპირატესობაზე, რომელსაც ჯონ მაკვის ბიჭებმა ფუნქციონალურ მომზადებაში მიაღწიეს – მეორე ტაიმში მათ ერთბაშად 6(1) ლელო დაგვიდეს, სულ კი – 7. რასაკვირველია, ეს გარკვეულწილად ტურნირის კალენდარმაც გამოიწვია, რის შედეგადაც ფიჯელებს ოთხი დღით მეტი ჰქონდათ დასასვენებლად, მაგრამ ამით საერთო სურათი არ იცვლება – ამომავალი მზის ქვეყანაში გასამგზავრებლად და ღირსეულად სათამაშოდ შემუშავებულმა ორწლიანმა პროგრამამ კრახი განიცადა!

ასეთ ფონზე წვრილმანებად გამოიყურება გუნდის შემადგენლობის შერჩევისას დაშვებული შეცდომები (მაგალითად, ძნელია, ახსნა მოუძებნო ლევან ჩილაჩავას მრატა-ფაში გადასროლას, რომელიც პარტნიორთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო წინა ბრძოლებში) და უდავოდ ყველა დროის უძლიერესი ქართველი მორაგბის მამუკა გორგოძის 22-ე სანაკრებო ლელოს, რომელმაც მხოლოდ გული მოგვცხანა და პრესტიჟის ლელოდ ვერანაირად ვერ ჩავთვლით.

და კიდევ: მოგეხსენებათ, აღნიშნული გათამაშების შემდეგ ახალზელანდელი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში მოღვაწეობას ასრულებს და, სავარაუდოდ, სამწვრთნელო კარიერასაც დაუსვამს წერტილს.

საინტერესოა, როგორ კომენტარს გააკეთებს იგი იაპონური ვატიერლოოს შესახებ, ჩვენ კი, ყველაფრის მიუხედავად, განუთელი ტიტანური შრომის გამო მისი მაღლიერნი უნდა ვიყოთ.

კობა კობახიძე

ჩოგბურთი



პეპინის ATP500-იანი პრესტიჟული ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ნიკოლოზ პასილაშვილმა ვერ შეძლო ჩინურ კორტზე მოპოვებული ტიტულის დაცვა და 500 სარეიტინგო ქულის დაკარგვის გამო კლასიფიკაციაში დაქვეითება ემუქრება.

ფეხბურთი

მისი ფაქტორი

რამდენჯერ გვსმენია – ნეტავ, რაში უხდიათ ფეხბურთელებს მილიონებსო.

აი, ბატონო, კიდევ ერთი პასუხი ამ ყბადაღებულ კითხვაზე: ამ ბოლო დროს ტრავმებით გატანჯული ლეო მესი თითქოს სრულად ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელდა და შორსაა სასურველი კონდიციებიდან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და პარტნიორებს გაუჭირდათ, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თამაში საკუთარ თავზე აიღო, ფილიგრანული გარღვევა განახორციელა და ლუის სუარესს მანამდე ღირსეულად მეზობელი მილანის „ინტერის“ კარში გადამწყვეტი ბურთი გაატანინა – 2:1. სხვათა შორის, ამ გოლით ურუგვაელმა ბომბარდირმა დუბლი შეასრულა. ნიშანდობლივია, რომ პირველი შედეგიანი გადაცემით იგი ვიდალმა მოამარაგა, რომელიც ვალვერდემ პარტნიორთა გადასარჩენად სარბიელზე დემბელესთან ერთად შესვენების შემდეგ შეუშვა, რამაც გაამართლა კიდევ.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის მშვენებად მოქმედ გვირგვინოსან „ლივერპულსა“ და დებიუტანტ „ზალცბურგის“ ჯახი იქცა, რომელშიც ავსტრიელებმა, მართალია, 0:3 3:3-ად აქციეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ – 3:4 და „ენფილდი“ თავანულებმა დატოვეს.

დანარჩენი შედეგები: „გენკი“ – „ნაპოლი“ 0:0, „ზენიტი“ – „ბენფიკა“ 3:1, „ვალენსია“ – „აიაქსი“ 0:3, „სლავია“ – „დორტმუნდი“ 0:2, „ლილი“ – „ჩელსი“ 1:2, „ლაიფციგი“ – „ლიონი“ 0:2.

სატურნირო ვადგომარეობა:

„ე“ ჯგუფი. „ნაპოლი“ – 4, „ზალცბურგი“, „ლივერპული“ – 3-3, „გენკი“ – 1 ქულა.


ქარის მოტანილი ქარმა წაიღო

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი არგენტინელ გვიდო პელასთან სასტარტო ბრძოლის მოგების შემდეგ გუშინ მსოფლიოს მეშვიდე ნომერთან, ბერძენ სტეფანოს ციციპასთან დამარცხდა სამ პარტიაში – 6:4, 3:6, 2:6.

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კარიერა განაახლა ლეგენდარულმა ბრიტანელმა ენდი მარეიმ, რომელმაც თანამემამულე კემერონ ნორის ძლევათ მეთხედფინალში თამაში გაინაღდა.

სხვათა შორის, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და უიმბლდონის ორგზის ტრიუმფატორმა იანკერის შემდეგ პირველად მოახერხა ზედიზედ ორი შესვენების მოგება.

ვიტალი ჯაფარიძე




გიორგი შოთაძე

ენდუპილი მსუბუქი ფიგურებით


სარწმუნოებელი პარტიები

წერილობითი მიწერით ლივერპული – გლაზგო (1843)



თეთრ კუს აშკარა უპირატესობა გააჩნია

სმისლოვი – დერკაჩი კიევი (1937)



მჭიდროდ განლაგებულ პაიკებში მხედარი კუზე ძლიერია

1. ჯე2 ჰფე6 2. ჯც4+ ჰფდ6
3. ჰფწ5 ჰქდ5 4. ჰფფ6 ჰქე3
5. ჯე2 ჯ4 6. ჰფ: ჰც6 ჯ3
7. ჯქ3 ჰფ4+ 8. ჰფფ5 ჰქე5
9. ჯე2 ჰქ4 10. აგ, 1:0

1. აგ ფ6 2. ფეფე
3. ფ3 ჰფე6 4. ჰფფ5 ჰქწ7
5. ჰქდ1 ჰქწ1 6. ჰქწ2 ჰფფ7
7. ფ4 ჰფ 8. ჰქ: ფ4 ჯწ3
9. ჰქწ6 ჯწ6 10. ჰქეფ+ 1:0

საჭადრაკო პარტიის ბოლო სტადია – ენდუპილი და მისი თეორიული ცოდნა – „შუქურაა ზღვაში, რომელიც მოგზაურს აჩვენებს სწორ გზას ან აფრთხილებს შესაძლო ხიფათის თაობაზე – მსოფლიოს V ჩემპიონი მაქს ეივე.

სწორედ თამაშის დებიუტში და მიტელში (შუა თამაშში) მოწეულ „ჭირნახულს“ ითვალისწინებს თამაშის დასკვნითი სტადია. ერთი სიტყვით, თუ XIX საუკუნის უდიდესი მატროს ტარტაკოვერის ხუმრობითაც და ნახევრად ხუმრობითაც გამოინათქვამს დავეთანხმებით „სწორედ აქ იწყება ჭადრაკის პარტია“.

მოყვარულ მოჭადრაკეებს ხშირად უჩნდებათ კითხვა: ენდუპილში კუ სჯობია თუ მხედარი? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – პოზიციაზეა დამოკიდებული.

თუ პაიკების სტრუქტურა კუსფერის უჯრებზე კომპაქტურადაა განლაგებული, მხედრის უპირატესობაა და თუ გარემარბი გამსვლელი პაიკები ერთმანეთისგან არიან დაშორებულნი, კუს აქვს უპირატესობა. რომ იტყვიან, ათასგონილს ერთხელ დანახული სჯობს.

ამის დასტურად გთავაზობთ დიაგრამებს

თამაზ შანგალია



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

დ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150. ტელ: +995 32 243 95 03; ფაქსი +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№108/ს 03/10/2019

108-21-4-201910030941



ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №21 დადგენილების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის საწყისი ფასისა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №1110

განკარგულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 04 თებერვლის N1080 წერილის, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული სარგებლობის ლიცენზიების გაცემის საკითხების განმხილველი უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №247 დადგენილების შესაბამისად უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე,

შ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- 1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის - www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. დაევალოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოსაქვეყნება ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა;
6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს;
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6.), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი



საგენტოს უფროსი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის „...“ № ... ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Item description and details. Includes fields for license number, contact info, and terms of sale.

Table with 2 columns: Item description and details. Includes fields for lot number, quantity, and price.

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2019 წლის “_____”
№ _____ ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
3 ელ-ფოსტა	info@nea.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის ფარგლებში ყოველწლიურად თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარმოადგინოს იმ ტერიტორიების x y კოორდინატებისა და შესაბამისი ნაკვეთის წერტილოვანი და პოლიგონური ფენის Shp-ფაილები UTM კოორდინატთა სისტემაში. ასევე, ვალდებულია წარმოადგინოს: შემსრულებელი პირის მიერ ხელმოწერილი ზემოაღნიშნული ნაკვეთის სიტუაციური გეგმა, საიდანაც მიმდინარე წელს უნდა მოიპოვოს თეთრყვავილას ბოლქვები, ინფორმაცია ამ ტერიტორიებიდან თეთრყვავილას მოსაპოვებელი ოდენობის შესახებ და რესურსის მოპოვების მიახლოებითი გრაფიკი კონკრეტული უბნების მიხედვით; ბ) მოპოვების გრაფიკში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა მიეწოდოს სამინისტროს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტ გ) ბოლქვების მოპოვების და ექსპორტის შემდეგ, ყოველი წლის

		არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, ლიცენზიის მფლობელის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული ქმედებების შესახებ, მათ შორის ქვეყნის შიგნით განხორციელებული ქმედებების (ინფორმაცია მოპოვების მეთოდის, ბოლქვების შენახვის, დახარისხების, გაშრობის, ტრანსპორტირების, დასაქმებული პირების ოდენობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, მოპოვების ტერიტორიების, მოპოვების თარიღის/პერიოდის შესახებ, ასევე, სასაქონლო და არასასაქონლო ზომის ბოლქვების ფაქტობრივად მოპოვებული ოდენობების შესახებ) თაობაზე. ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ფოტომასალა (მათ შორის მოპოვების ამსახველი).
		დ) ლიცენზიანტი, არაუგვიანეს 2020 წლის პირველი აპრილისა უნდა ფლობდეს ბოლქვების რეალიზაციისათვის მოსამზადებლად საჭირო ინფრასტრუქტურას: ბოლქვების სათვლელ და კალიბრაციის დანადგარებს, ბოლქვების შესანახად ვარგის სათავსოს, რომელშიც შესაძლებელი იქნება საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება;
		ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრყვავილას მოპოვება განხორციელდეს საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისადა ასევე 2008-2009, 2014 და 2018 წლებში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი დანართი N1-ის შესაბამისად აკრძალული ადგილებისა, 5 (ხუთი) მილიონი ბოლქვის თეთრყვავილას მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისადა ასევე 2008-2009, 2014 და 2018 წლებში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი დანართი N1-ის შესაბამისად აკრძალული ადგილებისა;
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 (ხუთი) მილიონი ბოლქვის საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვროს 400000 (ოთხასიათასი) ლარის ოდენობით.
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	40000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	40100 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 07 ოქტომბერი დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 04 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 05 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 05 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში


2014 წელს განხორციელებული პროექტის ”*Galanthus woronowii*-ს მდრადი კვოტის დადგენა“ შედეგად დადგენილი პოპულაციები, სადაც უნდა აიკრძალოს ბოლქვების მოპოვება



№	უბნისდასახელება	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ჰაბიტატი	გეოგრაფიულიკოორდინატები*	ფართობი (ჰა)
1	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	ბამბუკების პლანტაცია	360მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,702 41,718	13
2	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	კავკასიური სექტორი და ევკალიპტების პლანტაცია	310მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,6995 41,7198	9
3	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	ციტრუსების პლანტაცია	250მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,697 41,7147	6
4	სოფ. სახალვაშოს მიდამოები (ამჟამად შესულია ბათუმის ბოტანიკური ბაღის შემადგენლობაში)	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	კოლხური ტყის ფრაგმენტი, ციტრუსის პლანტაცია	210მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,6945 41,7149	6



*მოცემულია უბნის ერთი წერტილის კოორდინატი; თითოეული უბნის საინდიკაციო საზღვრები მოცემულია ცალკე გის-ფაილში

2008-2009 წლებში განხორციელებული პროექტის "საქართველოში Galanthus woronowii და Cyclamen coum-თან მიმართებით CITES-ის დანერგვის გაუმჯობესება" შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილები

№	უბნის დასახელება	რეგიონი	რაიონი	სოფელი/ადგილი	გეოგრაფიული კოორდინატები	ფართობი (ჰა)
1	აჭარა, ქედა, სოფ. ნამლისევის მიმდებარედ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქედა	ფოთოლმცვენი ტყე	1 კმ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5525 41,8176	30
2	აჭარა, ქედა, სოფ. ქოსოფელის მიმდებარედ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქედა	ფოთოლმცვენი ტყე	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5412 41,8039	1
3	გურია, ჩოხატაური, სოფ. ზოტის მიმდებარედ	გურია	ჩოხატაური	ფოთოლმცვენი ტყე	1 კმ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,8977 42,4399	20
4	მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ. ნატახტარის მიმდებარედ	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ფრაგმენტირებული ჭალის ტყე	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5662 42,0160	6
5	იმერეთი, ხარაგაული, ნიშნული ნაფიცარა	იმერეთი	ხარაგაული	ფოთოლმცვენი ტყე. ტერიტორია მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოსაზღვრედ	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,9592 43,1369	3
6	იმერეთი, ხარაგაული, სოფ. ნუნისის მიმდებარედ, ნიშნული საქუბარი	იმერეთი	ხარაგაული	შერეული ტყე. ტერიტორია მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოსაზღვრედ	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,9864 43,1461	1,2







ყურადღება!

საქართველოს ეროვნული პარტიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადების მიღება გრძელდება!

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები მიიღება 10 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში (ათონელის ქუჩა №25), დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე. საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭება პირს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინერო მიმართულების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. პრემია გაიცემა ყოველწლიურად და მას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან ორი გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო, თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით.



კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიის მიერ შერჩეული ლაურეატების კანდიდატები საბოლოო გადამწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი 10 სექტემბერს გამოცხადდა და საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიის 9-კაციანი შემადგენლობა დამტკიცდა, რომელსაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი, პროფესორი ზვიად გაბისონია ხელმძღვანელობს. კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და ეროვნული პრემიის ლაურეატები.

სკოლის მოსწავლე ნანა ლაბაძემ ერთი ღვაწის მინისტრად იმუშავა

სოფელ როკითის სკოლის მოსწავლემ ნანა ლაბაძემ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობა ერთი დღით დაიკავა. ნანას, როგორც ნიკო კვცხველის სასკოლო პრემიის გამარჯვებული სკოლის ლიდერს, მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა უმასპინძლა. სამუშაო დღე სამინისტროში გამართული შეხვედრით დაიწყო, სადაც ლევან დავითაშვილმა, ნანა ლაბაძესთან ერთად, ტყის ინვენტარიზაციის შედეგებზე ანგარიში მოისმინა. ანგარიშის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტყის აღრიცხვა უკვე ჩატარდა, ამ დროისთვის კი, აღრიცხვის პროცესი ახმეტაში მიმდინარეობს.



„მინისტრებმა“ შეხვედრა გამართეს აკვაკულტურის თემაზეც. შეხვედრაზე საუბარი იყო ახალ კანონპროექტზე და იმ რეგულაციებზე, რომლებზეც სამინისტრო მუშაობს.

„თბილისობა“ კიევი

კიევი 5 და 6 ოქტომბერს „თბილისობა“ აღინიშნება.

როგორც უკრაინული მედია წერს, დღესასწაული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უკრაინელებისა და ქართველების მეგობრობას. „თბილისობის“ ფარგლებში უკრაინის დედაქალაქში გაიმართება გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, რამდენიმე ქართველი ავტორის ნიგნის პრეზენტაცია და კონცერტი, რომლის დროსაც ქართული და უკრაინული ეროვნული ცეკვა და სიმღერა იქნება წარმოდგენილი.



ორგანიზატორების თქმით, ასევე დაგეგმილია სხვადასხვა კონკურსები, გათამაშებები და ქართული კალიგრაფიის მასტერ კლასი. გაიმართება ქართული ლინის და კერძების გამოფენაც.

კობე მარჯანიშვილის 1927 წელს გადაღებული ფილმის ჩვენება დღეს შედგება

4-6 ოქტომბერს საქართველოში ევროპის მემკვიდრეობის დღეები აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, 4 ოქტომბერს, 20:00 საათზე, ილიას ბაღში (თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №73) გაიმართება კობე მარჯანიშვილის 1927 წელს გადაღებული ფილმ „ამოკის“ ჩვენება ელექტრონული მუსიკის თანხლებით. მუსიკალურ ნაწილზე ვაჟა მარმა და გიორგი კუჭუხიძემ იმუშავეს. ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი და არტარა ერთობლივად წარმოადგენენ.



„ამოკი“ უცხოური ლიტერატურული ნაწარმოების პირველი ეკრანიზაციაა ქართულ კინოში. ფილმი შეტყფან ცვაიგის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით შეიქმნა, მთავარ როლში ქართული კინოს ვარსკვლავის – ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

„ქართული ღვინის ფესტივალი“ ბრიტანეთის ქალაქებში



დიდი ბრიტანეთში „ქართული ღვინის ფესტივალი“ იმართება, რომელიც მოიცავს დეგუსტაციებს, მასტერკლასებს, პრეზენტაციებსა და სემინარებს ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის შესახებ. ღონისძიების ორგანიზატორია ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანია „Swirl Wine Group“.

„ქართული ღვინის ფესტივალი“ უკვე გაიმართა ლონდონში და მას ღვინის იმპორტიორები, რესტორნებისა და სასტუმროს ქსელების და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული ღვინის წარდგენას ცნობილი ბრიტანელი მწერალი ჯემი გუდი (Jamie Goode) უძღვებოდა.

ფესტივალი 7 ოქტომბერს ბრისტოლი და 8 ოქტომბერს მანჩესტერი უმასპინძლებს.

დიდი ბრიტანეთი არის ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარი, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს.

მოგაერთავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართავს გამოცემას რეგულარულად და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევინებთ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

ალექს ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მხარე შეუპოვებელი მასალაზე დათვალიერება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, გუდაამ არ ეთმობოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუსილაგლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

Table with subscription rates for different regions: უსხოური პალტის ქარსი: აუშ ღოლაში - 2.9755; შირი - 3.2489; ბრიტანული შირიანა სტარლინი - 3.6474; 100 რუბლი - 4.5513; შირაქული ლირა - 0.5187; აზერბაიჯანული მანათი - 1.7502; 1000 სომხური დრამი - 6.2550.

Table with advertising rates for different positions: ავტორთა საჩუქრადღებოდ: ბარ - ღამე +11, დღე +28; შირიანი რეკლამა - ღამე +7, დღე +26; დასავლეთი საჩუქრადღებოდ: ბარ - ღამე +13, დღე +30; შირიანი რეკლამა - ღამე +9, დღე +28; თარიღის: ღამე +14, დღე +27.

დაავიკაპით, მოგაერთავთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge